

# სიანობი

საბჭოთა  
1935  
№ 7-8  
საბჭოთა



- ჩვენს კლუბს საბჭოთა-საჩვენებელი კლუბი უნდა დაეარქვას!
- რატომ კაცო?!
- იმიტომ, რომ ჯერ მთელი საათობით გვატყავინებენ და მხოლოდ შემდეგ ვვიჩვენებენ ხოლმე წარმოდგენას!

# სახო კიკილაძე

ილუსტრაცია ისაევის.

5 მაისს ჩვენი რედაქცია უჩვეულო სიხარულმა მოიცვა. რედაქციის ოთახები მკითხველებით და თანამშრომლებით გაიჭედა.

ყველას ყურადღება ერთი მოქალაქისკენ იყო მიპყრობილი, რომელიც ჩემს მაგიდასთან იჯდა და მისი ახალი გამოგონების პროექტს აცნობდა.

— ვინ არის ეგ მოქალაქე? სადღაც მეცნობა. — იკითხა შემთხვევით შემოსულმა დონმა, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ათი საათის რამოდენიმე წუთი იყო გასული, უკვე მოესწრო სახაშეში გავლა. სადაც ნივრიან საუბრეზე დაყოლებული კახურით ღაე „გამაგრებულიყო“ რომ თავს ძლივს იმაგრებდა.

— ხოხო კიკილაძეა. ჩვენი ჟურნალის ახალი ვმირი! — ვუპასუხე.

— ვიცანი: ორი წლის წინად მე თითონ დაეხატე „ნიანგში“ მაგის პორტრეტი, არც კი გამოცვლილა. სწორედ ისეთივეა, როგორიც იყო.

ამ სიტყვების დროს კიკილაძე უკვე ჩვენთან აღარ იყო.

მან მაგიდაზე დასტობით დასტოვა მისი ლექსები, კორესპონდენციები, მოგონებები, მოთხრობები, რეცენზიები, კრიტიკული შენიშვნები, პრაქტიკული წინადადებანი. ახალ გამოგონებათა პროექტები და რედაქციიდან გავიდა, (წინააღმდეგ ზოგი ავტორის ჩვეულებისა, რომელიც სანამ გოდორში ან დასარიგებელ ჰონორარის სიაში არ ამოიკითხავს თავის გვარს. კეტიც, რომ მიუროო, მაინც ფეხს ვერ მოაცვლევინებ.

— ვინ არის ხოხო კიკილაძე? — იკითხავენ ჩვენი ჟურნალის მკითხველებიც და ეს კითხვა ბუნებრივია. ხოხო კიკილაძე ჩვენ მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიეთ ჩვენს ჟურნალში ამ ორი წლის წინად და მისი სურათიც მოვათავსეთ, დღეს კი, ჩვენი პატივცემული ხოხო რედაქციის და მკითხველების ხშირი სტუმარი იქნება.

— მაინც ვინ არის ხოხო კიკილაძე? — დაიჩინებს ზოგი მკითხველი. მაგრამ რა საჭიროა მათემატიკური ფორმულასავით დაზუსტებული გამოთქმა იმისა, რაც მხატვრული სიტყვით უნდა ითქვას. ხოხოს გასაცნობად ჩვენ მიერ გამოქვეყნებული იქნება ათიოდე ეპიზოდები, მისი სოფლმხედველობის გამომხატველი დოკუმენტები.

ვისაც მაინც დაიჩინებით უნდა გაიგოს ის მიზანი რასაც ჩვენ „ხოხო კიკილაძეს“ გამოქვეყნებით ვისახავთ და დაახლოებით: მაინც გაითვალისწინოს ხოხოს ვინაობა, მას ჩვენ თითონ დავუხსვამთ ასეთ, (პედაგოგის ენით რომ ვთქვათ), დამხმარე კითხვებს:

— ვინ იყო თავის დროზე სოლომონ ზურგიელიძე?

— ვინ იყო ლევარსი როხროხაძე?


ამის შემდეგ დაკვირვებული მკითხველისათვის ძნელი არ არის იმის გათვალისწინება, თუ ვინ უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარების თანამედროვე ეტაპზე ხოხო კიკილაძე.

ხოხო კიკილაძის, როგორც ტიპის ჩამოყალიბება მეტად მნიშვნელოვანი და ძნელი ამოცანაა.

ნუ დაგვემდურებიან კაპიტალისტური მორალის ნაშთებით გონება დაბნეული, ახალ მოწინავე საზოგადოებასთან მიტმასნილნი წინამხტომნი, მაჩანჩალები, თუ სასაცილო მდგომარეობაში ჩაყარდნილ ხოხო კიკილაძეში და ზოგჯერ კი თვით ხოხო კიკილაძის კრიტიკის საგანში თავიანთ თავს იცნობენ.

ნიანგი.





1. პარაშუტი, რომელიც ვერ გასწევს ქულის მაგვრობას, მაგრამ მას თბილისში ბევრ ადგილას შეხვდებით.

2. ქული, რომელიც თავისუფლად გასწევს პარაშუტის მაგვრობას, მაგრამ თბილისში მას იშვიათად შეხვდებით.

## ფაქტები და კაქტები

შრბეალია ქვეყანაზე მანერა და ტაქტი: ზოგს სიმართლე ურჩევნია, ზოგს—სიცრუის ტახტი, ზოგ მთას კაცის სიტყვა შესძრავს, ზოგს—ფოლადის ლახტი, ერბის სიტყვით, უთვალავი ზღბა მსგავსი ფაქტი. აი—თუნდაც გადავავლოთ დღეს მსოფლიოს თვალი. ნახეთ როგორ შემორტყმია ომის საფრთხის რკალი: საკმაოა გადავარდეს ერთი ნაბერწყალი, რომ ერთმანეთს დაეჯახონ ცა, მიწა და წყალი. ერთის სიტყვით, დებულება რომ ჩამოვჭნა სწორად: სადღისოდ დედამიწა გაყოფილა ორად და ორივეს სამოქმედო რომ აქვს მისი ტაქტი: მას მსჯელობაც არ სჭირია, უდავოა ფაქტი: ერთი ომობს—ომისათვის—თავის ყველა ნაკვთით, მეორე კი—ებრძვის ომსა სამშვიდობო პაქტით. რახან სიტყვამ მოიტანა მიყვრეთ ამბავთ სვლასა, თუ ვით ლამობს დღეს ფაშიზმი ქვეყნის გამოცვლას: „ვეფხვის“ ნახტომს ამზადებს, რომ მისებრ სკუპი ჭნასა, ზოგს უპირებს ყელის ღადრვას, ზოგს კი—შესანსვლასა. მაგრამ როცა სიტყვით უნდა ვინმე „გააცუროს“, შეპარ-ყანდის ჩანჩქერს ცდილობს—ცასაც ააბკუროს: — ჩვენო?ომი? რასა ბრძანებთ?—ჩვენ შშვილობა გვეწყურის „ზერ-გუტ“, დავდებთ სუყველასთან „შეთანხმება ძმური“. მაგრამ... აი საბჭოეთსა რომ დავესხმით თავსა, ეს ომად ნუ ჩავვეთვლებ. ძველი დროის მსგავსად, თანაც ლიტვას თუ გავსრესავთ, ბელგეთს მოვდებთ კაიას, საფრანგეთს თუ ვეკვეთებით ვით მეწყერი ზვავსა, ავსტრიას თუ შევიერთებთ—მისი ყინი გვეწავსა, აგრესიად ნუ ჩავვითვლით, ნუ შეირცხვენთ თავსა. ანუ უკეთ: აღმოსავლეთი რომ მოუგრინთ კისერს დასავლეთი ევროპისკენ მიგბრუნდებით ისე.

თითოს ჩავყლაბთ, რომ ადგილად მოვიწვლოთ მაშინ, თორემ ერთად ვერ დაიტევს აწ ფაშიზმის ფაში. (რა თქმა უნდა, უკანასკნელ ამ ათ სტრიქონს ჩემსას, ჩუმად ამბობს და ჩემსავით, ისიც ფრჩხილში შესვამს). და მშვიდობის მოყვარების საბუთ-ხაწინდარად ფაშისტური გერმანია მან აქცია ჯარად, ცა—დაფარა აწ საომარ თვითმფრინავთა ღრუბლით, და წყალქვეშა ფლოტით ზღვისა სურს ვალუნოს ზღრუბლი. და გაისმა: — უბერ აღეს, ომს ვამზადებთ, ველით ხვალეს\*. ლიტვინომა რომ ასწონა ამნაირი ფაქტი, საფრანგეთთან სამშვიდობო გააფორმა პაქტი. — პაქტი, ხელადეთ? პაქტი დადეს. აღმუილდა მაშინ, ეს ომს ნიშნავს, წითელ ომსა შთელსა ევროპაში. და რაც გულში თვითონა აქვს ომის მსურველ ფაშიზმს, ვენ მოგვაწერს და „ბდღვირს გვადენს“ ყოველ სიტყვის თქმანა. სგრამ მისი სიტყვაც, საქმეც, უდავოდ და ცხადად— ომის გზაა... ეს მსოფლიომ გასჭვრიტ განიცადა, და... როდესაც ლიტვინომა გაზომა ეს ფაქტიც, ზებო-სლოვაკიასთანაც გააფორმა პაქტი. პაქტი მხოლოდ სამშვიდობო, თანხმობის და ზავის, ყველასათვის მისაღები, არმიმცემი ავის. და საბჭოთა პაქტი ხდება სალი აზრის კვანძად, რომ მხოლოდ ის აგვაცილებს ომის საშიშ ხანძარს... იმი? ეშმაკს შეუყვარდეს, ჩვენ რად გვინდა ომი? ჩვენ ვინც სოციალიზმისთვის ვიბრძვით როგორც ლომი, და ვამბეკობთ ჯერ არანხელ ცხოვრებას და ყოფას? და თუ სცილიან ჩვენს ბოსტანში დინვას შემოყოფას, მაშინ ნახონ თუ ომისთვის როგორა ვართ მზადა, და რაც ამით იხვირონ—იტრაბახონ მათა.

ფაჩადან.





# უცნაური გასვენება

18-19 წლებში, ქუთაისში, პოეტების მთელი რემა იყო. — დაიწყო გვიმე, მხიარულ კილოზე, — მეც, რატომ უნდა, მათ რიცხვში ვერიე, ბევრი ჩვენგანი ჩხირის გადამბრუნებელიც არ იყო. იშვიათად ვწერდით ლექსებს. უფრო ხშირად ვქეიფობდით. ახლაც არ ვიცი, რა სახსრით ვახერხებდით...

საღამოს გამოვიდოდით სამიკიტნოებიდან და ქუჩებში ვტეხდით აყალმაყალს. ვისაც დაინახავდით ცოტა მსუქან კაცს, მივსევოდით და ნაღველს ჩავუტყევდით მუცელზე მუშტების რტყმევით. ხანდახან: „მეშ სპეკულიანთ“ — ის ძახილით — შევიჭრებოდით თეატრში, ან კლოუბში და ნამდვილ დარბევას ვაწყობდით.

ამის გამო ვაჭრებს ჭირივით ვძულდით. ჩვენს დანახვაზე ელეთ-მელეთი მოდიოდით. არც მენშევიკებს ვუყვარდით მაინც დამაინც. ჩვენს თავაშვებულობას ისინი არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებად თვლიდნენ და რაც შეეძლოთ, გვდევნიდნენ.

მაშინდელი მილიციის უფროსი ჭირივით დაგვდევდა, მაგრამ რაღაცა იღბლად მისგან ყოველთვის უვნებლად ვალწვედით თავს.

ბევრი უცნაური ამბავი მახსოვს იმ დროიდან. მე თქვენ მოგიყვებით მხოლოდ ერთ მათგანს, ყველაზე უფრო კუროიზულს და თანაც განმაცვიფრებელს.

ჩვენთან მუდამ იყო ფარმაცევტი, ვინმე ახელ ლაბაძე. კაცი თავზე ხელაღებული და ნამდვილი ბოჰემა. პოეტები სიცოცხლეს ერჩია. უჩვენოდ ფინჩხას არ ჩაიდებდა პირში. კოჭლსა და ჭარხალივით სახეწითელ აბელს ორთავიერებევით მკლავები ჭონდა.

მისი მუშტის ძალა მთელმა ქუთაისმა იცოდა. ამიტომ, როცა ის თან გვახლდა, უფრო გაბედულად ვახდენდით სკანდლებს.

აბელი ცხოვრობდა ბალახვანში, პატარა ქოხში, მოხუც მამიდასთან, რომელთანაც, აგრეთვე, შეხიზული იყო ერთი უბინაო, პოეტობისათვის თავგადადებული ყმაწვილი.

ერთხელ აბელი ამ ყმაწვილთან ერთად სოფელში წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ, კვირა დილას, მოულოდნელად აბელი შეწუნებული სახით შინ მეწვია და მითხრა:

— ის უბედური ყმაწვილი სოფელში უეცრად გარდაიცვალა, წუხელის ჩამოვასვენე, დღეს უთუოდ უნდა დავმარხო, ან-კი რას ვუტადო. გთხოვ მცე პატავი და მოხვიდეთ.

შევწუხდი. მეწყინა.

რა თქმა უნდა, მოვალ. — უთხარი ათროლოებული ხმით. შენთან ყველაზე ბოლოს მოვედი. სხვებს უკვე ვაცნობე.

დარწმუნებული ვარ არავინ დაინარებს მოსვლას. კერძოდ შენი დიდი იმედი მაქვსო. — ეს თქვა და სწრაფად გაბრუნდა. ველარაფრის კითხვა მოვასწარი.

დღის სამ საათზე მის ბინაზე უკლებლად მოვიყარეთ თავი. თითქმის ჩვენს მეტი არავინ იყო. აბელის მამიდას ხოსშაკალსავით ცვიოდა ცრემლები დამკუნარ ლოყებზე.

მაღე მღვდელიც მოვიდა.

— მღვდლით გასვენება არ მიხლოდა, მაგრამ მამიდაჩემის ხათრით დავუძახე. ჩუმად გვეითხრა აბელმა და თან დაუმატა, — საწყალი ისე უტეგ გაიხრწნა, რომ კუბოს ავხადო თავი, აქ კაცი ველარ გაჩერდებო.

იმავდროს გავიგეთ, რომ აბელს მისი დასაფლავება, როგორც პოეტის, არქიელის გორაზე უნდოდა, ბაგრატიის ვალავანში, მამია გურიელის ახლო.

მორჩა თუ არა მღვდელი წესის აგებას, კუბო მხრებზე გავიდევით.

აბელმა მამიდამისი ჭიშკართანვე შეაჩერა:

— შორსაა, გავაჭირდება სიარული. — უთხრა მან მოხუცებულს და ეზოში შეაბრუნა.

მიცვალებული პირდაპირი ქუჩით ნელა წავასვენეთ ქალაქის ბაღისაკენ. ოლარგადაცმული მღვდელი წინ ყვერულივით მიგვიძღვოდა.

მისის მშვენიერი მზიანი ამინდი იღვა. ბაღში და ბაღის აქეთ მდებარე ქუჩის ორივე მხარეს ჩვეულებრივ, როგორც ყოველ უქმედლეს, აუარებელი ხალხი სეირნობდა.

ჩვენს დანახვაზე მოსეირნენი ჯგუფ-ჯგუფად შეჩერდნენ და

ყველამ გაცხებით დაგვიწყო ცქერა. როცა გაიგეს პოეტს მივასვენებდით, ნაცნობები მაშინვე შემოგვიერთდნენ. მათ სხვებმაც მიბაძეს და მაღე ჩვენი პატარა ჯგუფი ვებერთელა პროცესიად იქცა.

ჯაჭვის ხილთან უკან მოვიხედე: პროცესია კიდევ უფრო გაზრდილიყო.

ვიცოდი ქუთაისელებს ძლიერ უყვარდათ გასვენებაში სიარული. ზოგჯერ სრულიად უცნობის გასვენებაშიაც-კი მიდიოდნენ. და რა გასაკვირალია, რომ პოეტების მიერ პოეტის გასვენება ყველა გასვენებაზე უფრო საინტერესო ყოფილიყო მათთვის.

ჩვენ, როგორც ჭირისუფლებს, აღარავინ გვაკარებდა კუბოს. სულ პაერში აწვეული მიქონდათ.

როგორც იყო ავალწიეთ ბაგრატიის ტაძრამდე.



გაჭრილ სამარესთან კუბო მოწიწებით დაასვენეს. მღვდელმა უკანასკნელად იმღერა სულთათხანა და ოლარო მოიხადა.

მძიმე სიჩუმე დადგა. მეგობრებმა მაიძულეს მეთქვა სიტყვა.

ჩემზე უფრო კარგად ბევრს ეხერხებოდა ლაპარაკი, მაგრამ უარი არ გამივიდა.

შევდექი ლოდზე. ჯერ გაფითრებულმა თვალი მიმოვაველე იქაურობას, მერმე თმაზე ხელი გადავისვი და აკანკალებული ხმით დავიწყე ლაპარაკი.

ხალხი სულგანაბული მისმენდა. მართლა ისე ვიყავი გულნატკენი იმ ყმაწვილის უდროოდ დაღუპვით, რომ თვითეულ სიტყვას მთელი გრძობით ვამბობდი.

შევატყვე ხალხს გული აუჩვილდა და ხმას ავუწიე. აქა-იქ გაისმა ქალების ქვიანინი, მაღე ფრთავაშლილ მტრედივით ყველამ ხელში დაიკავა ცხვირსახოცი.

მწუხარებით სავსე ჩემი ხმა გაბზარულ ზარასავით რეკდა და მისი გაგონება მევე უცნაურ ქრუანტელს მგვრიდა.

არ ვიცი რამდენხანს ვილაპარაკე. როგორც-კი ჩამოვედი ძირს, ბავშვივით აწლუქუნებულმა აბელმა გულში ჩამიკრა და მაკოცა.


— დამწვა კაცი შენმა ენამ. ისეთი გრძობით ლაპარაკობდი თითქოს... ძმობას გეფიცები, ჯერ არ მახსოვს ასე გულდაგულ მეტიროს. — ლულულულით მითხრა მან და კვლავ მაკოცა.

ჩემს შემდეგ ლოდზე ავიდა მენშევიკი ნოქარი, რომელმაც მთელი პარტიის სახელით ილაპარაკა. შეეხო საერთაშორისო რევოლუციის საკითხებს, დემოკრატიზმის პრინციპებს, დამოწმა კაუცი და ბოლოს ცხედრის წინაშე მხურვალე ფიცი დასდო, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ ბოლშევიკებისაგან დემოკრატიულ საქართველოს დასაცავად.

მენშევიკი ნოქარი შეცვალა სოც-ფედერალისტურ პარტიის ჭალაროსანმა წარმომადგენელმა ის, ნაციონალ-დემოკრატმა და ამასობაში მზეც გადაიხარა.

როცა სიტყვების წარმოთქმა დასრულდა, აბელმა ხმამაღლა გვეთხოვა:

— ნება მიბოძეთ უკანასკნელად ვნახო ჩემი ახალგაზრდა მე-



კალენიკე ოყროშივე სასწავლო წლის დასასრულს ამთავრებდა ვეტერინარულ ინსტიტუტს. სულ რამდენიმე თვე უკლდა; კაცი დამოუკიდებელი ხდებოდა და ცოლის შერთვაც ამ დროისთვის ჰქონდა განზრახული. ორივე მხარე ემზადებოდა ქორწილისათვის. სიყვარული ოფიციალური იყო და კალენიკეს უკვე სიძეს ეძახდნენ. მაგრამ სრულიად მოულოდნელად ანთებისაგან ვარდიცვლია საცოლო, რომელსაც კალენიკეს სიყვარულის ხამი წლის სტაჟი ჰქონდა.

კალენიკეს ტირისფალმა და ამხანაგებმა იცოდნენ, რომ ვაჟს ვაგიყვებით უყვარდა თავისი შეყვარებული. ამიტომ კიდევ ვაგიფიქრეს—ვაი თუ თავი მოიკლასო.—და უდროოდ დაქვრივებულ თუ ნახევრად დაქვრივებულ კალენიკეს უთვალთვალედნენ.

დღითი მანცდამანც არ იყო საჭირო თვალყურის დევნა, რადგან კალენიკე მიცვალებულთან იდგა და სამძიმარს ლებულობდა. მაგრამ ღამით ჩიკეტავდა კარებს და რაღაცას წერდა.

— ალბათ თავის მოკვლას აპირებს და წერილს ტოვებს!— ფიქრობდნენ ნათესავები.

— შეილო, საცოლე კი არა, ამ ხალხს ცოლი მოუკვდათ და შეილიც. იმეც ჭე მომიკვდა დედაშენი. მარა მეორე წელიწადს სხვა შევირთე. რა ვუყოთ, მერე რომ მოკვდა? ყველა მოკვდებოთ!— ამხნეებდა და ანუგეშებდა მამა.

ხანდახან კალენიკე, როცა სხვა ამბავზე ჩამოვარდებოდა ლაბარაკი, კიდევ ვაიღიებდა, მაგრამ ამ დიმილს სხვება სხვანიად ხსნიდნენ.

— ვვატყუილებს. ვანგებ იცინის. რომ თვალყურის დევნა შევანელოთ. დრო იშოვოს და თავი მოიკლას!— ფიქრობდნენ მოკეთები და რიგრიგობით უყარაულებდნენ მას.

ყარაულობით იყო, ავტიაციითა თუ სხვა მოსაზრებით, დასავლავების დღემდე არავითარი მოსალოდნელი მარცხი არ მოხდარა.

დასაფლავების დღეს კალენიკემ ახალი (საჯვარისწერო) კოსტუმი და ახალი ფეხსაცმელები ჩაიცვა.

— ალბათ თავის მოკვლას აპირებს სასაფლაოზე. თავიდანვე უყვარდა ორიგინალობა და პოეზია!— ფხიზლობდნენ ამხანაგები და არ შორდებოდნენ. ჯიბეებშიც კი ვაუხინჯეს— რევოლვერი ან ხაზმალავი ხომ არ აქვს შიგო.

დაღვრემილი მიჰყვებოდა კალენიკე ჯუბოს.

— აუცილებლად რაღაცას ფიქრობს. არ მოეზორდეთ!— აფრთხილებდა კალენიკეს მამა კალენიკეს ამხანაგებს, რომლებიც ფრთხილად იდგნენ საგუშაგოზე და თვალს არ აშორებდნენ მეგობარს.



გობრის, ძმანე უფრო საყვარელ ადამიანის სახეო.— და კუბოსთან მიიღია. მესაფლავებს წალკატი გამოართვა და მისი თხელი პირით კუბოს ერთბაშად ახადა თავი.

ყველა გაეცოცდით. — მკვდარი ვაცოცხლდა, მკვდარი!— იყვირა ვილაკამ და წარმოუდგენელი ჩიხილი შეიქნა.



— თავს უწველეთ, თქვენც დაიძახა ვილაკამ. შეშინებული ხალხი კისრის ტახით გაიფანტა.

— კუბოში იდგა ერთი დიდი ტიკო. შიგვე იყო კალათები შემწვარ გოჭით, ნაქაპურებით, მრგვალად მოხარულ ქათმებით და მწვანელით სავსე.

მაგრატის ტაძრის ნანგრევებთან ჩვენი ლექსების კითხვა და სადღეგრძელობი აღიონმდე არ შეწყვეტილა.

— სსსს!— გაისმა ხმა სასაფლაოზე, როცა ტირისფალმა ამოთხრილი საფლავის დანახვანე ხელახლა მორთო კვიციანი...

— აცალეთ, ბატონებო; კაცი სიტყვას ეუბნება მიცვალულ ბუღს!— დაიძახა პროცესიის ხელმძღვანელმა და აწვეით ანიშნა დაჩუმება.

შეწყდა ტირილი და მოთქმა. სამარესთან სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კუბოს წინ ვაჩერდა კალენიკე. მან ჯერ ხელი თავზე გადაისვა და თმა ვაიწყრა. შემდეგ ხელი ჩაახველა და ხმამაღლა დაიწყო:

— ჩემო პირველო სიყვარულო, ჩემო დაუფიწყარო და უდროოდ გამაუბედურებლო ტასიკო. ეს არის შენი დაბირება, რომ მეუბნები— კარგო ოჯახს შევექითო?— (ამ სიტყვებზე იქა-აქ გაისმა ქალების ამოკვნესა და ქვითინი).— ტასო, შენ მე მიღალატე, შენ მე დამტოვე, მაგრამ მე შენ არასოდეს ვიღალატებ, არასოდეს დაგტოვებ!— და აცრემლებულმა კალენიკემ, რომლის სიტყვამ სხვებიც აატირა, ხელი ჯიბისკენ წაიღო.

— აბა, ფრთხილად. რევოლვერს იღებს ალბათ და თავს იკლავს!— გადაუჩურჩულა კალენიკეს მამამ ახალგაზრდას, რომელიც გვერდში ედგა კალენიკეს.

— გენაცვალე, როგორ ჰყვარებია... საწყალი ბიჭი!— ბევრს შეებრაღა კალენიკე.

— სსსს! ჯერ კაცს სიტყვა არ დაუმთავრებია!— ისევ გაისმა ნაცნობი ხმა და სიჩუმე ისევ ჩამოვარდა.

კალენიკემ ცრემლიანი თვალი ცხვირსახოცით მოიწმინდა, ჯობიდან ამოღებული ქაღალდი ხელში მოკლედ მოკეცა და წაიკეთხა:

მესად დამეცა შენი სიკვდილი.  
ჩემო ძვირფასო, ჩემო ტასია.  
ვიცი— ყველა ვართ სიკვდილის შვილი,  
ჩვენი სიცოცხლე ჩაღის ფასად.

— ჩაღის ფასიც არ არის!— აქვითინდა მიცვალებულის დედა, მაგრამ მაშინვე ჩააჩუმეს.

შენ ისე მოწყდი უცბად ქვეყანას,  
როგორც მოწყდება ცაში ვარსკვლავი.  
აწ ვერ გიმღერებს მშობელი ნანას,  
შენი ბინაა შავი საფლავი.

აქ, მართლაც, ბევრი აქვითინდა, მალე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

უბრძოლისველოდ დამიქერ გული,  
რომელშიც იჯექ შენ სამსა წელსა.  
გულია იგი დღეს დადაგული,  
ვერ გავიმართავ ვერადროს წელსა.  
გემშვიდობები ჩემო ტასია,  
იძინე ტკბილად და უღარდლილად.  
ჩვენი ცხოვრება თურმე ასეა,  
მაქეთ წამოვალთ თანდათან ყველა.

— საწყალი ბიჭი, როგორ ჰყვარებია საწყალი გოგონა!— ამბობდნენ ზოგიერთები (უმეტესად ქალები) და ცდილობდნენ როგორმე აცრემლებულიყვნენ.

— ახლანდელ ვაჟებს არა ჰგავს, რომ დღეში ორსამჯერ იცვლიან საცოლეს. ეტყობა ადამიანია და ცხოვრებაში კაცი გამოვა!— ახასიათებდნენ კალენიკეს.

კალენიკე მიცვალებულისაკენ ვაიწია.

— აბა ახლა უშველე, არაფერი ჰქნას!— გადაუჩურჩულა მამამ ხანავს, რომელმაც კალენიკეს მკლავში ხელი გაუყარა და ჩუმიად ხოა:

— კარგი, გეყოფა, ვაჟკაცი ხარ. არა გრცხვენია?! მაგრამ კალენიკე დაიხარა, მიცვალებულს ერთხელ მუბლზე როცა და კუბოს მოშორდა.

— მშვენიერია ლექსი იყო. როდის დაწერე?— შეეკითხა ამხანაგი, როცა მახლობელი საფლავის ვაკდერს მიეყრდნენ.

— საერთოდ, შენც კარგად იცი, მე პოეზია ძალიან მიყვარს, მაგრამ ლექსს მინც არ ვწერდი. ტასიკოს სიკვდილმა ისე შეარჩია, მთელი ჩემი არსება, რომ ჩემში დამალულმა პოეტურმა ტალანტმა ვულკანსავით ამოხეთქა და რაღაც ორი-სამი ღამის განმავლობაში ასეთი ლექსი დაწერე. მართლა კარგი ლექსი იყო?

— დიდებული. ყველა აატირა! — არ ეკადრებოდა თუ? საწყალი ტასიკო! აბა მეტი რაა ჩვენი ცხოვრება... პაპიროსი მომაწვივე თუ ვაქვს.

ამხანაგმა პაპიროსი მიაწოდა. კალენიკემ მიცვალებულის დასაფლავებამდე ერთხელ კიდევ ჩუმიად გადაიკითხა წაკითხული ლექსი და ამხანავს უთხრა:

— მართლა დიდებულია. ჭე იყო ამ ლექსის ღირსი საწყალი ტასიკო. მოსალოდნელია აწი მე ვეტერინარიის თავი დავანებო და მწერლობას მოგვიდო ხელი. აუცილებლად ასეც უნდა ვქნა!

ი. ხინგელი.

# ნერვიული კომპიანები.

გაიხიხეთ  
საქართველო

მოძქმელი ბიზნისი: **პაიმი**  
**პაციენტი**

(კაბინეტი. ექიმი ხელს იბანს. შემდეგ იხილავს პირსახოცი და კარებს ალებს)

**პაციენტი**—ვინ არის შემდეგი?

**პაციენტი**—(შევიარდება ექიმის ოთახში და სკამზე მოსხლეტილად დაეცემა) საშინელია!... მეტის ატანა შეუძლებელია...

**ექიმი**—დამშვიდდით, ამხანაგო!

**პაციენტი**—„დამშვიდდით!“ თქვენთვის ადვილი სათქმელია... მაპატიეთ, რომ ასე ვლაპარაკობ... სულ დამეკარგა წონა-სწორობა ვერ გავიგე რა მიმართება.

**ექიმი**—დამშვიდდით მაჯა მიივინეთ.

**პაციენტი**—(აღელვებით)—ო, მაჯა, მაჯა!


**ექიმი**—ნუ ლელავთ, (ითვლოს) ჩვიდმეტი, თვრამეტი...

**პაციენტი**—(ქვითინით) ძალა აღარა მაქვს...

**ექიმი**—მაშ ასე... (საათს იწახავს ყილეტის ჯიბეში) როგორ გძინავთ?

**პაციენტი**—რაო? მძინავსო?! როგორ გეკადრებათ. ორი კვირა თვლი არ დამიხუტავს.

**ექიმი**—რაო როგორი გაქვთ?



**პაციენტი**—ო მადა, რას ამბობთ! საჭმელის დანახვა მეზარება „მადა“, „მადა“ ხა, ხა, ხა...

**ექიმი**—დამშვიდდით, (ცხვირთან წამლიან შუშას აწვდის) უყნოსეთ; არაფერია, არაფერი... გაივლის! ახლა ხომ მოგეშვით?

**პაციენტი**—(ჩუმად ტირის).

**ექიმი**—(თავზე ხელს უსვამს) ნევრების ბრალია; დალიეთ ეს წამალი. აგრე; საუცხოოა... ხედავთ, ახლა უკეთ ხართ.

**პაციენტი**—გმადლობთ ექიმო.

**ექიმი**—მაშ ასე, სხვა გამოსავალი არ არის: სერიოზული მკურნალობა გეჭივრებათ: მწვავე ნევრასტენიით ხართ დაავადებული. უპირველეს ყოვლისა უნდა ერიდოთ ყოველგვარ ადგილებას და უსიამოვნებას. თუ ცუდად გახდით, წვეთები დალიეთ, მე უკვე გამოეწერე თქვენთვის რეცეპტი, ყოველ დღე მიიღეთ თბილი აბაზანები, ტემპერატურა 27-28 გრადუსზე მეტი არ უნდა იყოს.

**პაციენტი**—არ უნდა იყოს?

**ექიმი**—არაფერია შემთხვევაში, ხომ გაქვთ აბაზანა?

**პაციენტი**—არა.

**ექიმი**—ეს ცუდი ამბავია.

**პაციენტი**—იცი, მე ბინა უნდა მიმეღო... მე კოოპერატიულ ამხანაგობის „მშენებლის“ წევრი ვარ... საერთო კრებამ მიმიღო... გამგებამაც დამამტკიცა...

**ექიმი**—დამშვიდდით, დამშვიდდით ამხანაგო.

**პაციენტი**—სარევიზიო კომისიამაც რამდენიმეჯერ ვამოიტანა დასკვნა ჩემს სასარგებლოთ... ოხ, ნერვები აღარ მაქვს... თავს ვეღარ ვიკავებ...

**ექიმი**—დამშვიდდით, ნუ ლელავთ.

**პაციენტი**—ბოლოს ორდერსაც ვღებულობ. ყველაფერი მზადა მაქვს: ორი ოთახი, აბაზანა, პირდაპირ სამოთხესავით არის გაწყობილი... ორდერს ვღებულობ და...

**ექიმი**—ნუ ლელავთ, ამხანაგო!... ამას უყნოსეთ (ისევ აწვდის შუშას).

**პაციენტი**—ავიღე ორდერი წარსულ კვირას და მივადეე... ახალ ბინას ჩემი ბარგი-ბარხანით. როგორ გავსულედი, —ორი საბარგო ავტომანქანა დავიჭირავე. მივადეე ახალ ბინას და იქ უკვე მდგმურები დამიჯდნენ. მერე ვინ! —თვით სარევიზიო კომისიის თავ-

მჯდომარე! სწორედ ის თავიჯდომარე, რომელმაც კომიტეტში მისცა დასკვნა ახალ ბინაზე ჩემი დაბინავების სასარგებლოდ.

**ექიმი**—მართლაც ძალიან გაუცურებინართ.

**პაციენტი**—მერე ერთი ხომ არ არის? მთელი ბანდებია ასე რომ გუცურებენ.

**ექიმი**—აი, ჩვენთანაც...

**პაციენტი**—ორი წელიწადია რაც უსირცხლოთ მატყუებენ.

**ექიმი**—საზიზღრები. თქვენ ხომ უკვე მოგტყეს ორდერი.

**პაციენტი**—ორდერი გააუქმეს. ეს ხერხი მათთვის უმნიშვნელო საქმეა.

**ექიმი**—საზიზღრები ჩვენთანაც სწორედ ასეა (ოთახში აჩქარებით დადის) მეც საალმშენებლო ამხანაგობის წევრი ვარ. „ექიმთა ამხანაგობის“ წევრი, და თქვენ გგონიათ ჩვენთან უკეთესები არიან?! ისეთივე ბანდიტებია, როგორც თქვენთან... უარესიც.

**პაციენტი**—არა, უარესი როგორ იქნება! თქვენ ამას განგებ ამბობთ, ჩემს დასამშვიდებლად.

**ექიმი**—(თანდათან აღელდება) გარწმუნებთ, უარესი. პირდაპირ მტაცებლები არიან. ვერ წარმოიდგენთ, მათ მე რა საქმე მიქნეს.

**პაციენტი**—ალბად გაცურებენ.

**ექიმი**—„გაცურებენ“... ადვილი სათქმელია „გაცურებენ“, საძაგლები... ვერც კი გამოითქვამს, რაც მათ ეკადრებათ.

**პაციენტი**—დამშვიდდით, ექიმო!

**ექიმი**—რა დამამშვიდებს! 6 წელია საბინაო ამხანაგობის წევრი ვარ, საბაიო გადასახადი ორჯერ მეტი მაქვს შეტანილი, საზოგადოებრივ სამუშაოს ვასრულებ... დღე და ღამე არ მძინავს...

**პაციენტი**—ნუ ლელავთ, დამშვიდდით ექიმო!

**ექიმი**—ათასჯერ დამპირდნენ ბინის მიცემას... ყველაზე მეტი უფლება მქონდა, რომ ბინა მიმეღო: ბოლოს და ბოლოს, მთელ ამხანაგობაში, რომელსაც სახელათ „ექიმთა ამხანაგობა“ ჰქვია ერთად ერთი ექიმი ვარ დანარჩენებს მედიცინასთან არაფერი არ აქვთ საერთო... ვფიქრობდი: ახლა თუ არ მომცეს, მაშინ...

**პაციენტი**—რა გემართებათ, ექიმო, მკვდრის ფერი გადევთ. ავერ წყალი დალიეთ.

**ექიმი**—(ძაგდაგებს და პირთან მიტანილ ჭიქას კბილებს) (ცემს) მ... მ... მ... მივდივარ ბარგი ბარხანით.

**პაციენტი**—ექიმო, ექიმო! რა გემართებათ! დამშვიდდით! აი, წამალი. უყნოსეთ. ეს, მგონი, ნიშადურის სპირტია.

**ექიმი**—მივდივარ ბარგი-ბარხანით... იქ კი ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარის ცოლის ძმა მხედება ჩასახლებული!... საძაგლები... ახ...

**პაციენტი**—დამშვიდდით, გთხოვთ ექიმო! ექიმო! რა გემართებათ, რა მოგდით!.. არ ვიცი როგორ დავეხმარო, მაჯის ვასინჯვა ხომ არ უნდა! მოდი გავსინჯავ. მაჯა მომეცით ექიმო! არ ესმის... (იღებს ექიმის ჯიბიდან საათს კიდებს ხელს ექიმის მაჯას და თვლის) ოცდაცხრა... ოცდაათი... ოცდათერთმეტი... მგონი ძალიან ბევრია, ძილი როგორი გაქვთ?



**ექიმი**—რა ძილი, რას ამბობ! მთელი თვეობით არ მძინავს ამ დაწყველილ ბინის წყალობით.

**პაციენტი**—ნერვების ბრალია ექიმო, მადა როგორი გაქვთ?

**ექიმი**—„მადა“, ხა, ხა, ხა! (ექიმს ისტერიკა ემართება).

**პაციენტი** (თავზე ხელს უსვამს):—წასულია ჩემი მკურნალობის საქმე. უკვე მე მეხუთე ექიმთან მოვდივარ და მეხუთეჯერ ასეთ სცენას ვნახულობ... საწყალი ექიმები!.. (მზრებს იწვევს შემდეგ კარს ალებს და იძახის) ვინ არის შემდეგი? შეგიძლიათ მიბრძანდეთ ავადმყოფების მიღება დღეს შეწყვიტოთ.

მსუბუქი ნაბიჯით აიწია სახელ  
ფამის კიბე უკვე ჭალარით და-  
შვებულმა მწერალმა და მოლა-  
რის სარკმლისაკენ გაეშურა.



# სასტიკი სასჯელი



ჭალაროსანს შერთალი სახე  
ჭაბუკივით აუელვარდა ერთხანს  
იღვა და უაზროდ შეჰყურებდა  
ჭალარს, მოლარეს რომ წინაშე  
ეჭირა, შემდეგ უხმოდ გამობრუნ  
და და იქვე „სალიტერატურო-  
სექციის“ ოთახის კარი შეაღო.  
აქ არავინ იყო.

ო, ეს სარკმელი!  
რაოდენი იმედებისა და მოუ-  
სვენარი მოლოდინის აღმძვრელია  
ეს პატარა სარკმელი!

იგი ოქროსავით მოკაშკაშე  
თვალეზივით შემოაშუქებს ხოლომე  
მაგრამ უფრო ხშირად კი ამ სარკმელიდან გაისმის ცივი, მიუკარე-  
ბელი ხმა:

— დღეს არ არის, ოცდახუთში მობრძანდით!  
ჩვენს ჭალაროსანსაც ბევრჯერ სმენია ეს ამაზრზენი ხმა. სულ  
რადაც ოცი დღის წინად არ იყო, გული რომ კინაღამ შეუღობდა  
და წელმოწყვეტილი დაბრუნდა უკან?

მაგრამ დღეს მაინც მსუბუქი ნაბიჯით მიეშურება ოქროს  
თვალეზივით მოკაშკაშე სარკმლისაკენ, ვინაიდან ქვეყანაზე ხომ  
ყველაფერს ბოლო აქვს და ამ „შემდეგ მობრძანდი“ საც ხომ და-  
სასრული ექნება?!

თან დღეს ხომ სახლში ცოლშვილი დაიმედებული დატოვა,  
მეგალებსაც ვადაჭრით მისცა პირობა—ხუთ საათზე მაინც ფუ-  
ლით დავბრუნდებით.

ესეც რომ არ იყოს, ვანა გასული წლის ნოემბერში არ ჩააბა-  
რა ჩვენმა ჭალაროსანმა თავისი ნაშრომი „სალიტერატურო სექ-  
ციას“ და ნუ თუ დრო არ არის, რომ მაისის 20-ში მაინც მისცენ?

დერეფანში რომ შეუხვია, რამდენიმე ცქრიალა სახეს მოჰკრა  
თვალი და ამან კიდევ უფრო აუგზნო გული იმედით.

ვანა ამ ვიწრო დერეფანში ამდენი სიხალისე იქნებოდნ, რომ  
დღეს მოლარის სარკმელი ოქროსავით მოკაშკაშე თვალეზივით  
არ გამოიყურებოდეს?

აგერ უკვე მიუახლოვდა სარკმელს და იმედით აღსაცხე გულ-  
მა იტყვილად უმატა ძვერას, თითქო ამ ოხერ ბებერ გულში მე-  
ორე გული იყოს მოთავსებული, პატარა, უჩინარი გული, რომელ-  
საც არ სჯერა, რომ დღეს მაინც შემოაშუქებს ოქროსავით მოკაშ-  
კაშე თვალეზი.

ჭალაროსანმა წარბები შეიჭმუნა, დაიხარა და დაწკარუული  
თვალეზით შეიხედა სალაროში.

დინჯად ზის შავგვრემანი, დარბაისელი და მუდამ პირმი-  
მარე მოლარე და რადაც ჭალარს ატრიალებს ხელში.

— როგორ არის საქმე?—ოდნავ შემკრთალი ხმით შეეკითხა  
მწერალი.

— რისი?... ჰო, ფული? დღეს არ არის, ოცდახუთში მობრძან-  
დით...

დამძიმებული ნაბიჯით გამობრუნდა ჭალაროსანი და, როგორც  
იყო, კიბის თავში რომ სკამია, იქ დაეშვა წელმოწყვეტილი.

შემოდგომის მკბენარა ბუნებრივით შემოეხვია უსასო ფიქ-  
რები—რითი დაბრუნდეს სახლში? რა უთხრას მეგალებს?..

კარგა ხანს იჯდა ასე და ვერც კი გაიგო, თუ რაგორ ჩასთვ-  
ლიმა თავკაუჭა ჯოხზე დაყრდნობილმა.

და გაჰქრა სახელგამი და მის დერეფანში აელვებულ  
ცქრიალა სახეები... ახლა ის ხედავს, რომ ვილაცას ასამართლებენ  
და პროკურორი გადაჭრით მოითხოვს:

— დამნაშავეს 10 წლით შრომა ვასწორების ბანაკში ვაგზავ-  
ნა უნდა მიესაჯოს...

დამცველი:— შეუძლებელია... საქმე ხელახლა უნდა განიხი-  
ლოთ...

პროკურორი:— სჯობს ხელახლა განხილვას თავი მიანებოთ,  
თორემ ისეთ სასჯელს მიიღებთ, რომ თავბედს იწყველით.

ბრალდებული:— მაინც?

პროკურორი:— „სახელგამში“ ვაგზავნით ჰონორარის მისა-  
ღებად!

ბრალდებული:— არა, არა, ისევე ათი წლით შრომა ვასწორების  
ბანაკი მიჩვენია...

\*\*

ამ ზმანებაში იყო ჭალაროსანი, რომ ვილაცამ მოკრძალებით  
შეახო ხელი და გამოაღვიძა.

— წუხელ აღბათ ბებერი გიმუშავნიათ, რომ აქ ჩაგძინებიათ!  
— ღიმილით უთხრა მან.— მუშაობა უკვე გათავდა და აქ დამლა-  
გებლის გარდა აღარავინ დარჩენილა.

მიდიოდა ჭალაროსანი და ავონდებოდა ნახული სიზმარი.

— მართლაც, „სახელგამში“ ჰონორარის მიღება  
სასჯელის ერთერთი სახეა!— ფიქრობდა იგი.

სოლომონ თაყაიძე.

## მორწმუნე კომუნისტი

— კარგი, შენს ჰკუთხე იყოს, მხოლოდ  
ჩუმად. ხომ იცი პარტიული კაცი ვარ და  
უხერხულია ჩემთვის ეს საქმე!— უთხრა პლა-  
ტონ სამხარაძემ ცოლს.

კარგა დადამებული იყო, როცა სოფ-  
რვანის (წიათურის რაიონი) ხუცესი და დია-  
კვანი პლატონის ეზოში ჩავიდნენ.

— ინათლება მონა ღვთისა!— ჩაიღიღინა  
ხუცესმა.

— ამიიინ!— დააყოლა დიაკვანმა და  
მღვდელს გაჩაღებული საცეცხლო მი-  
წოდა.

ხუცესს უნდოდა დიდხანს გაეგრძელე-  
ბია ნათლობა, რადგან რამდენიმე წელიწა-  
დია ასეთი ბედნიერი შემთხვევა არ ჰქონებია.  
მაგრამ გაწვობილ სუფრას თვალი მოჰკრა  
მეორე ოთახში და ლოცვები შეამოკლა.

შემოუსხდნ სუფრას.  
ზეიმი ჩუმად მიმდინარეობდა.

გადაწყვეტილი იყო ჩუმადვე გათავებუ-  
ლიყო.

მაგრამ დღინომ თავისი ჰქნა.

— რომ არ ვმდერით, რა გვაქვს სამე-  
ლოვიარო? ბედნიერება დაგვტრიალებს

თავს. აბა, შემოვსძახოთ!— დაიძახა თამადამ  
და ისეთი სიმღერა სჭექეს, რომ სოფელში  
ბევრ მძინარეს გამოეღვიძა.

— თუ მართლაც არსებობს ღმერთი  
ცაში, სჯობია, რომ ბავშვი ეკლესიური წე-  
სით მოვინათლე. ხოლო თუ არ არსებობს, რა  
მინაღობება, მე არაფერი მეკარგება!— გადა-  
უჩურჩულა შეზარხოშებულმა მასპინძელმა  
დიაკვანს.

— რას ამბობ პლატონ! შენ დარდიც ნუ  
გაქვს. ვერ დამისახელებ ვერც ერთს ძველ  
ბოლოშევიკს, რომ იგი მონათლული არ იყოს  
მღვდლის მიერ!— გაამხნევა დიაკვანმა მასპინ-  
ძელი.

— შენ მართალი ხარ. ეს კარგი მითხა-  
რი!— გაუხარდა მასპინძელს და ხუცესთან  
ალავერდს გადავიდა.





— „როგორ ვეტრფოდი მთებს ამწვანებულს!.. ახლა კი... ჰოი, თქვენ მინდორნო აყვავებულნო, აღარ მიყვარხართ, ვინაიდან გული დამიწვა შეჩვენებულმა ტარტაროზმა, ჩემმა ევბრაქსიმ“.—

ასე თქვა კოკომ ბულატერმა ქურქმშენ კანტორის და ამოხვრით დაუმატა, რომ ამწვანებამ მას დააყენა ისეთი დღე, რომ მეგობრებიც ველარ უძღვებენ საწყალ კოკოს ტანჯვა-წამებას.

— „ცოლი ევბრაქსია სხვაგან მსახურობს და იქ კი თურმე გამწვანება მოუხდენიათ, სულ გაამწვანეს თურმე ყველა კაბინეტები, ხოლო დირექტორს მაგიდაზე ტყეც ამოსვლია. დაუყვანიათ დირექტივა მუშაკებამდე, რომ სახლში ბინაც გაამწვანოს ყველა მათგანმა და ჩემი ცოლი...“

— თქვენი ცოლი?

— „ღიას, ცოლი-თქო... ესე ოვი ცოლი ევბრაქსი, ვაგიყვებულა გამწვანებამ მწვანე მანიით“.

— მერე?

— „მერე და რომ მიყვები სახლში გულმანამ ბალმა გაშლილი აივანზე წამოეჭიმა...“

— დიდებულია! მაგას რა ჯობს!..

— ჯერ დამაცადეთ: ეზოშია ცხეები ურგავს და მეზობლებიც თითქმის სუმთლად აღმწვანია...

— ვგ უფრო კარგი, მერე, მერე?

— „გთხოვთ მომისმინოთ: სახლში შეველ და ვხედავ რომა, სასადილოში მაგიდაზე ია-ვარდები, როგორც წალკოტში ხარობენ და იფურჩქნებიან. საწყარ მაგიდას დავეძებდი, ველარ ვიპოვე, როგორც იტყვიან, შიგ „ბუჩქებში ჩამალულიყო“.

შკაფი ბუფეტის, შიფონერკა ისე ყვაოდენ, თითქოს ფლორიდა ამ ოთახში შემოსულიყო.

— ბედნიერებას თქვენსას ალბათ ყველა შეხარის!

— ბედნიერებას? მოიცადეთ, ვითხრათ ბოლომდე: იმ დღეს ვიძინეთ ყვავილებში, გლედიჩებში და ლამით, როცა ქურქლევისთვის ადგენ ბავშვები, ველარ იპოვეს ვერც ერთიც კი, გესმით? ქურქული, რადგან ევბრაქსის ყვავილა ქილად ყველა ექცა... დილით წამოვდექ და როს მიველ პირისაბანთან, იაბონური ხურმის ძირი იყო ჩარგული. მეორე ვგვრდი—ვედრო მიწით და კვიპაროსით, იქ გვაიულა, აკაცია და მიმოზები... ეზოში ვაველ და ხელბირი იქ დავიბანე. როს შემოვბრუნდი, ჩემი ცოლი ველარ ვიპოვე... ასე ვიძახდი: „ო, სადა ხარ ჩემო სულიყო“? თურმე ნუ იტყვიან, იქვე ტყეში ჩამალულიყო! ვთხოვე:—ევბრაქსი, შემიბრალებ, მიმეჩქარება, ჩაი დაადგი, ერთი ქიქა დამალევიანე!

— შენ თითონ დადგი!—ასე იყო ცოლის პასუხი. ვეძებ სამოვარს ყვავილნარში და ვხედავ რომა... რომ თავახდილი საძოვარი მიწით სავსეა და შიგ ფორთოხლის კულტურაა განარებული. თვით კერასინკაც სანახევროდ გადახაპული იდგა და გვიმრის ნორჩ ღეროებს ის ახარებდა... რალას ვიქმობი? შინ შევარდი, ქუდი მოვანხე (ბანამა გახლავთ, ტორგინისგან შეძენილია) ხელი დავსტაცე და როს თავზე წამოვიხურე, თმებზე, სახეზე ნეხენარევი მიწა დამცვივდა... თურმე ევბრაქსის ნიადაგი განუშნადია, რომ ჩემს ცილინდრშიც ვარდყვავილი რამე ჩაერგოს!.. ველარ ვაუტყელ, ერთი მაგრად ამოვიხურე, და ოხვრა ჩემი, როგორც ეხოს გამომახილი, ტყეში ვაიჭრა, (ესე იგი—ჩემ ბინის ტყეში)... ესე ევბრაქსიმ ვაიგონა, ბუჩქიდან თავი ფიცხლავ ამოყო და ვედროთი წყალი მომასხა. მითხრა: „სულიყო, ნუ მოკვდები ვიცინტივით, მსურს რომ ამ დილით სამსახურში ერთად წავიდეთ“... უცბათ ჩაიბღვა და კარებში რომ მივდიოდით, თავზე დამადგა დიდი ქილა იასამანით, ნაძვის ტოტები ილღებში თან შემომძარა, მარყუჯებში კი ქადრის ფოთლის ატყდა შრიალი... — აი, ახლა კი ამწვანებით ვერვინ გაჯობებს, კულტურა და დასვენების ჰყვავი ბალივით, ჩემო სულიყო, ვაიარე ქუჩის მშვენიერად, ხომ არ გეწყენა? რათა ხტუნავ ვგრე ბალოვით? — „მიშველეთ, მომკლეს!—ერთი მაგრად წამოვიყვირე.— მილიციონერი! მეგზოვევ! მოქალაქენო!— და... გამოვიქცე... თავით ქილა გადამივარდა, ქილა გავტყეხე, შიგ ლობიოს მუდამ ვხარშავდით!—“

— მერე?

— მერე და... როგორც მხედავთ, მმარში მივდივარ მე ევბრაქსიას განამწვანებ-განაწამები... მშვიდობით!—

თქვა და ჩვენმა კოკომ მმარში კრა თავი.

მოქალაქენო! კოკომ მეტად გადაამლანა. ევბრაქსიასაც, უდავოა, აქვს გადახვევა: ჩვენ გამწვანებას ენერჯიას და ძალას ვახმართ, მუდამ ვამწვანოთ ქუჩა, ბაღი, ეზო, სახლები. მაგრამ რად გვინდა წყლის ვედროში დიდი ჭადარი. „კერასინკაში“ ნავთის ნაცვლად—ია და ვარდი. ან იმ ქოთანში, რომელშიაც ლობიოს ვხარშავთ, ლობიოს ნაცვლად ჩაგვრთ ნერგი ლიმონ-ფორთოხლის; ან თუნდაც კიდევ სამოვარში ჩაის მაგიერ ჩვენ ვაგაშენოთ თითონ ჩაის პლანტაციები. არა ასეთი გამწვანება არ გამოდგება!

ალ. მალულაჩია.







# ერთი მასწავლებლის რამდენიმე უსწავლო პირობებზე თავბარსავაძი.



ტკბილად დაბრუნდნ მისა და მელანა. წყონის არცერთი შემთხვევა არ ახსოვთ ერთი-მეორისაგან.

და ერთხელ, როცა ერთ საწოლზე ტკბილად ხერინავდნ, ცოლმა ტკივილი იგრძნო მარცხენა ხელის იდაყვის ზემოდ. გამოეღვიძა, ნერვიულად გადახედა ქმარს და წაიფუჩუნა:

— რა ემართება ამ კაცს? ახალაგზრობაში არ იცოდა ჩქმეტა და არშიყოზა?!  
— ვადაბრუნდა. დაძინა.

საწოლის გადაღმა, კედელზე დაკიდებულ ჩანთაში, იჯდა კულმოგლეჯილი ვირთხა და, 96 პროცენტთან პურის ნატენს შეეჭყვინტა. ველარ მოითმინა ჩანთიდან ამოცოცდა, ავარდა საწოლზე, მიიბრინა და ახლა მარჯვენა ხელში ჩააფრინდა მელანას.

იმავ წაშში დაზარალებული ხელის ნებმა მიხოს ლოყაზე მოილო ტკაცანა.

და ცოლ-ქმარს შორის პირველად გაიმართა ჩხუბი.

ჩვეულებრივ, როგორც წესად არის, მამამდე არ მიუღწევია ამ ამბავს. მელანას ხელი გაუსივდა. მიხო თავჩაღუნული დადიოდა და შინცდამაინც დიდად არ ცდილობდა შეურაცხყოფელ ცოლთან შერიგებას. დაზარალებულს წამლობის საუცხოვო ხერხი ასწავლოს: კეფაზე თავშალში შეხვეული თევზის ქვირითა, ძმარი და ვირთხების განავალი ედო ერთმანეთში ახელილი და ნაკბენი ხელის მორჩინას ელოდებოდა...

მეორე ღამეს ახლად შეძენილმა კატამ დაარღვია მყუდროება.

მამაცმა კნუტმა, თითქოს იგრძნო თავისი მოვალეობა, ცოლ-ქმარის დაწოლის შემდეგ, კამოდის თავზე წამოსკუბდა. ერთხანს ფხიზლად იდგა საგუშავგოზე, მაგრამ ცოლ-ქმარის ხერხემა მასზედაც იმოქმედა და მალე ჩამოეძინა.

შვეცოდათ ვირთხებს მოწყენილი რაინდი და კამოდის თავისაკენ გასწიეს.

მათი ატამანი, უკულო ვირთხა პირდაპირ ქვირზე მოახტა ახალგაზრდა დამცველ ფილონიას და კისერზე შეკრული ლენტი ჩამოაგლიჯა.

ღნაოდა „რაინდი“ და შველას ითხოვდა. გამოეღვიძა მიხოს. გამოიღვიძა მელანა-მაც.

მიხომ კუთხეში მიყუდებულ ყავარჯენს დასტაცა ხელი და წამოიძახა:

— უშნო, ჩემი თავიც მეჯავრება შე სატალოვ!

წამოიძახა და განსაცდელში ჩავარდნილი კატის წინააღმდეგ მოქმედებმა ყავარჯენმა ნამსხვრევებად აქცია ნათურის შარი, რომელზედაც შემომჯდარიყო ფისუნია.

ამის შემდეგ იგი ტახტის ქვეშ შეძვრა.

ვირთხებმა ტახტის ქვეშ ისევ მიიტანეს იერიში დამფრთხალ მონადირეზე. კუნჭულში მიიმწყვდის. ერთხანს მწარედ აჩხავლეს. შემდეგ უკულო ვირთხა სწვდა მის უღვაშებს და მოძმეების დახმარებით პირდაპირ სოროში ჩათარია „მონადირე კატა“.

— დაიჭირა, მიხო? — შეეკითხა მელანა ქმარს.

— ყოჩაღ, შე უშნოვ! — წამოიძახა მიხომ, ტახტზე ჩამოფარებული ფარდა ასწია სასიხარულო სურათის დანახვის მიზნით, მაგრამ მათი ბანტშებმული ფისუნია არსად ჩანდა.

— რა, რამდენი დაიჭირა? — ჰკითხა მელანამ მიხოს.

— ვინ იცის!

— თვალები არ გაქვს, შე საცოდავო?!

— რას დაინახავ, სოროში ჩაპყვა და დასაჭერად გამოეკიდა...

ალარც მეორე დღეს დაბრუნებულა უკან მათი „სანადიროთ სოროში ჩამძვრალი რაინდი“. ვირთხებიც აღარსად ჩანდნ.

— ალბათ სუყველა შეჭამა და ახლა დანარჩენებს უტდის! — დამშვიდა მიხომ ცოლი და მყუდრო ძილს მიეცნ.

განთადისას უკულო ვირთხის მეოთხე თანაშემწემ სოროდან ამოყო თავი და ნადირობას შეუდგა. შვაფში შეძვრა, ვერაფერს ვერ წააწყდა.

პატარა ყელვიწრო ქილაში რაღაც მოყვითალო სითხე შეამჩნია. ჩახედა, დაყნოსა, ასავალ-დასავალი ვერ გაუგო. ცდის მიზნით, კოდი ჩაყო ქილაში. უკანვე ამოილო, სითხის

ორი ჩამადანი ცომი იყიდა მიხომ და სორო გამოტენა.

ორმა კვირამ გაიარა ასე: არც კატა და არც ვირთხები არსად ჩანდნ. გულდამშვიდებით ცხოვრობდა ცოლ-ქმარი.

ერთ დილას, ტახტის ქვეშ რაღაცამ დაიწყო ფაჩუნა. მელანამ ფარდა ასწია, ტახტქვეშ შეიხედა და წამოიძახა:

— კატაა, მიხო!

— რას ამბობ, დედაკაცო!

— ღმერთმანი!

— როგორ გასუქებულა, რამხელა გამხდარა ეს მუდრევი. შეხე, შეხე! კული მოუჭამათ! — წამოიძახა მიხომ და „კატას“ ხელი წაატანა. წაატანა და მოტყუვდა მოხუცი უკულო ვირთხამ კბილი გაუყარა ცეროთითში...

მეორე ღამეს მეზობლის ოთახში ეძინათ შეშინებულ ცოლ-ქმარს.

და დაესიზმრა მიხოს:

კატაზე მოზრდილი უკულო ვირთხა მის წინ იჯდა და ებასებოდა:

— რატომ წუხდებოდი, პატივცემულო მოხუცო. ჩვენ თქვენგან ისედაც დიდი პატარისცემა გვქონდა. რაღად გინდოდა ის სა-



გემო გასინჯა, სე... აიწონა, რაღაც ოინიო, იფიქრა და ცოლ-ქმარის საწოლისაკენ გაეშურა. პირდაპირ ცხვირში წასტაცა მიხოს ვირთხამ გარჩიცაში ამოსვრილი კული. მიხოს ორჯერ დააცემინა ცხვირმა და ცოლ-ქმარს გამოეღვიძა.

წესის თანახმად, ცხვირის წყვილად დაოიბინების გამო, რაღაც სახეიროს მოელოდა მიხო.

და უკეთესს რაღას ნახავდა: ერთი საათის შემდეგ ორი უმანდილო მანდილოსანი მიადგა მის სახლის კარებს. ჩამაღნებიდან ქალაქში გახვეული ცომი ამოიღეს და მიხოს მიმართეს.

— საუკეთესო საშუალებაა ვირთხების წინააღმდეგ, სტრიხინინი! ჩვენ „მავნებლებთან მებრძოლი ორგანიზაციის“ წარმომადგენლები ვართ!

ლოახოვო მსუყე ცოი, რომელმაც ჩვენ ასე დაგვასუქა? განა შენი კატით ვერ გავიტანდით თავს? პატივცემული „რაინდის“ უკანა ფეხები და ბეჭი ჯერ კიდევ ხელუხლებელი გვაქვს!

მშვილად მოუსმინა მიხომ ვირთხას. ხელში ჯოხი ეკავა და უნდოდა თავხედ ვირთხას გამოსდგომოდა, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვროდა.


უკულო ვირთხა კი განაგრძობდა, თუ როგორ დაასუქა „სტრიხინინმა“ მისი მოძმეები.

გვ, რა იცოდა ან მიხომ, ან „მავნებლებთან მებრძოლმა ორგანიზაციამ“, რომ კატისმჭამელი ვირთხების ატამანი, უკულო ვირთხა, მართალი იყო ცამდი, როცა ამ სიტყვებს ამბობდა...

გ. ივანიშვილი.

# ხმა გამსახლიდან

გამოქვეყნდა გაზ. „კოლექტივიზაციის“ მიერ გამოცემული ბროშურა: „აგრონომი შარაშენიძის საქმე“. („აგრონომია“ ლ. შარაშენიძემ ცოლთან საერთო ცხოვრების გაგრძელების პირობად ვატყობოვო ლალ მოითხოვა მზითვად 15 ათასა მანეთი. წერილებს ასეთი „სტილით“ სწერდა: „რაღაც არ უნდა დაგიჯდეთ ან ხელისა, ან ათისა, უნდა მიმოვით... კვირის ალიოშა“. შარაშენიძეს 3 წლ. ვატყობოვა მიუხავეს.



— აგრონომი ალ. შარაშენიძე:  
ხმა გაგრძელებდა გამსახლში, რომ მე ვარ კიკილაძე ხახია, რიზა ქენა ეს ნიანგო,—ვერ ვიწონებ, რჩენ პლოხია!

ჩვეულებრივი სისუსტით შეგვისრულა დანაბირები. ჯნსახკომმა შეპირებულხე მეტი მოგვცა. სოცულტგანმა მთელი მოპილიზაცია გამოაცხადა, ჭედზე კაცი დაიბირა და მთელი კამპანიის განმაგლოებში სულ ჯანო სავეთ ტრიალებდა. ასე, გასწინჯეთ, განსახკომმაც კი ვადმოგვაწვდინა თანხა! შარაშენიძის ხელი. საიდგანლაც ცაკის კაციც კი გაჩნო ჩვენთან. ერთი სიტყვით, სანაქებო იქნებოდა ჩვენი ამ წლის მუშაობა, რომ...  
— რა რომ?!

ველარ მოითმინა ამხ. ბესომ.  
— რომ „ბახიბუხაძეს“ არ შევერცხვინეთ-პირდაპირ სასკანდალო საქმე გვყოთ თავისი უტაქტო მოქმედებით.

— გამოიხატა ეს უტაქტობა?..  
— არ ვიცი, როგორ ავიწეროთ... პირდაპირ რაღაც ხორცმეტი კაცია, ამხ. ბესო, რაღაც ტლანქი და ჯიუტი... ხალხს არ უყვარს... და რაც მთავარია, კრებაზე უაზრო და უმნიშვნელო საკითხები დაყენა და ტყუილა დრო დაგვაკარგვინა მერე მარტო სიჩაყის ბრახუნი უყვარს, ხოლო საქმეს კი მისგან ნუ ელი.

— მე არც მაშინ ველოდი, ჩემო ვანო, მაგრამ შენ დაიხმე და...  
— მაღლობა ლმეროს, მგონი, მოხსნეს „ცერც“-დან და ამას იქით მაინც თავისუფალი ეხდებით მისგან...

— მოხსნეს?! გვეწველება! აწი მაინც ახლოს არ გავიკარებთ!

3.  
— ბახიბუხაძე უნდა მოწვეულ იქნას ჩვენს სხდომაზე, წარბების ნაღვლიანი შეგვრით განაცხადა ამხ. ვანომ და მკერდიდან ისეთი ხმა ამოუშვა, თითქოს ოცფუთიანი სიმძიმე მოიხსნა ზურგიდანო.

— ვა, აღარ ეშვები, შე კაი კაცო?! ავი სთქვი, მოხსნესო!

— დაახ, „ცერც“-იდან მოხსნეს გასულ წელს, მაგრამ ამ ეამად „ჩენჩ“-ის ხელმძღვანელია და, როგორც ასეთი, მდგომარეობით უნდა მოწვეულ იქნას ჩვენს კომისიაში...

— ჰო და აშენებულა ჩვენი ოჯახი! შარაშენ კრებაზე უაზრო ლაყბობით თავი წაგვიხდინა, მოგვაბეზრა და წელსაც, აღბად, იმასვე გაიმეორებს...

— რას იზამთ, ამხ. ბესო, ჯერ ერთი, რომ „ჩენჩის“ გამგეა, მეორეც ამხ. ნიკიტას ბიძაშვილია, ხოლო მესამეც და უმთავრესი კიდევ ისა, რომ ამხ. იპოლიტე უკვე მაგისი ბიძაშვილი უოფილა...

— მაშ, კარგი. მოვიწვიოთ. საჭიროა კაცია; ჰკვიანი, გამოცდილი.  
ნოე ზომლეთელი.

# საში უპიზოდო

1.  
— ბახიბუხაძე აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ ჩვენს სხდომაზე.  
— ეგ რომელი ბახიბუხაძეა?  
— აი, „ცერც“-ის გამგე რომ არის...  
— ჰო, ისა? „ცერც“-ს კი, მართალია, ჩვენთან აქვს კავშირი... მაგრამ?.. მაგრამ... მოვიწვიოთ... ისე დაატანა ბესომ ბოლოს, თითქოს „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“-ში მთავარ როლს ასრულებსო.  
— მოვიწვიოთ კი არა, უნდა მოვიწვიოთ, ამხ. ბესო, ხომ იცი პასუხის მგებელი თანამდებობა უჭირავს და მერე კიდევ... ამხ. ნიკიტას ბიძაშვილი არის. უროს დაკერის სიმძიმით დააყოლა უკანასკნელი სიტყვა ამხ.

ვანომ.  
— მართლა?! თითქოს შეეშინდაო ამხ. ბესოს, ენაზე იკბინასავით და განაგრძო: მაშ, აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ: რაღა ჩარაა...  
ეს „რაღა ჩარაა“ მაინც დაატანა. მაინც მოსყარა პილპილი გემრიელად შემზადებულ შეჭამანდს.  
და ბახიბუხაძეც მოწვეულ იქნა რესპუბლიკანურ თათბირზე ერთერთი კამპანიის ჩატარების წინ.

2.  
— ყველაფერი კარგად მოგვეწყო საშეფო საზოგადოებამ ენერგიული მონაწილეობა მიიღო ჩვენს კამპანიაში. მიწსახკომმა არა

# ღირიკული სტრიქონები

(პაროდია).  
ნაკადული ტლინკებს ისვრის, მთის ნაკადი ისვრის ტლინკებს; რომ დავიხარო წყალში თავი, აქ ვერავინ ვერ გამიგებს.  
ხეს მოტეხა ქარმა ტოტი, ჭოტი ფრინავს ტყეში გაღმა; გაღმა ფრინავს ტყეში ქოტი, და ფიქრებში ტვინი განმა.  
შეაჩერა სიომ ქროლვა, შარანაშის ხმა ისმის საცხა, თავში რაცხამ გამიქროლა, როგორ დაცხა როგორ დაცხა.  
გერა


# სოხო ქიქილაძის მოხსენება

მის მიერ გამოკვეთულ საფეო სოფლის მუშაობის შესახებ.

ნახატები გ. ისაევის



ქრისტეწი  
კომუნისტური



სოფლის საბჭო თავის სიმალეზე დგას.



კამპანიები წარმატებით მიმდინარეობს.



ეუფლებიან ტექნიკა და...



გვგებები წარმატებით სრულდება.

# დაპარცხაბული

ქართული  
კომუნისტური  
ილუსტრაცია გ. ინავიძის

ტექსტი მედუზასი

დახლის გადაღმა მარტო,  
როგორც დაზვავზე მაქო  
მუშტრის ლოდინში ობლად  
გადი-გამოდის საქო.

წინ დარაბა აქვს ღუქანს;—  
სწერიია: „მოდი, ნახე;“  
და მოწოდება იგი  
ბევრის გამხდარა მახე.



ღუქანის მინაზე შავად  
გამოხატულია ყანწი;  
ყანწზე წარწერა მოსჩანს:  
„ღვინით სავეს ვარ! ამწი!“


და ყანწის წვლზედ კობტად  
გადაჯვარულია მწვადი,  
თითქოს გიხმობდეს მუშტარს:  
„გემო ნახე და წადი!“



„ალარ გაგყვება გულში  
თუ რამ ნალეელი გედო.“  
შაბაშის შემდეგ ხელფასს  
ირებს ანდრო და თედო.

და მათ ორივეს სახლში  
ელის შვილი და ცოლი...  
გაზაფხულია ნაზი,  
მწვანედ ბიბინებს მოლი...

და ყველაფერი თითქოს  
უფრო გიზიდავს ანლა.—  
მიდის ქუჩაზე ანდრო  
და თედოც გვერდით ახლავს.



მოდი, მივიღეთ, ვნახოთ!  
„გადავკრათ“ თითო თითო,  
რომ „შეგხალისდეთ“ ცოტა  
რა დაშავდება ვითომ?

მივიღენ... საქო მათ წინ  
ტრიალებს როგორც ჯარა  
და ყოველ ჭიქის დაცლას  
საქოს „გაამოს“ ფარავს.



იცის საქულამ ძველმა,  
საქოს არ უნდა სწავლა:—  
ანდროს ხელფასი სრულად  
გახდა საქულას დავლა.

— „გაგაცილებო“ — უთხრა  
თედომ მიმავალ ანდროს,  
ჰაგრამ ელსმენის სვეტთან  
თვით მიეძინა ამ დროს.

მაგრამ ხმაურმა უცებ  
გააეხელინა თვალი.  
და მოიკრიბა ანდრომ  
ისევ ღონე და ძალი.



მიდის ქუჩაში, მაგრამ  
აწყდება ყოველ კიდეს,  
რომ არ დაეცეს ხელეძს,  
ხან ხეს ხან ყორეს კიდებს.—

თას კი გონია მიდის  
„ჯენტლმენურად“ და სწორად,  
თუმც იჩვენება გზაზე  
ერთ ვირის თავი ორად.




მიდის ქუჩაში ქალი  
კობწია ვინმე ქერა  
და უცებ თედო მთვრალი  
იტაკა, დაეძგერა!




ლამის წაიქცა ქალი  
ქუჩაში თავდაყირა  
და „იერიში“ თედოს  
ლამის დაუჯდა ძვირად.

თავს ძლივს იკავებს ქალი  
და ბოდმა მის გულს აესებს,  
თედო კი, მშვიდათ, ასე  
ოცნებობს თავის თავზე:




— თავზიანი ჩემებრ  
ვისგან ნახულია როდის!—  
ვინც კი გამივლის ახლოს  
ყველასთან ვიხდი ბოდისს.




გამგლეღს შეხედა აედომ;—  
უნდოდა რაღაც ეთქვა,  
მაგრამ პირიდან ამ ღროს  
„ნუნუამ“ ამოხეთქა

ვინც ახლოს იყო შიშით  
მიიფანტ-მოიფანტა,  
და ფერწასული თედო  
კვლავ სვეტს მიეყრდნო ზანტად.

ჩაიკეცა და ფიქრებს  
მიეცა იმავე წუთში:  
„მე გავაფურთხე ახლა  
მისთვის შესაფერ კუთში.“



შალიციელი მიცქერს  
შოსაჩვევიდან აქვე  
და ფიქრობს: „აი წვისის  
დამცველი მოქალაქე!“



მოქანცულ თედოს ნალე,  
კვლავ მოერიდა ძილი,  
გამოაღვიძეს თორემ  
შინ მივიდოდა დილით.


გადაშვალამდა უკვე,  
ცაზე იცინის მთვარე.  
შიადგა ჩვენი თედო  
საპირფარეშოს კარებს.

თედოს ჰგონია, თითქოს  
აქ არის მისი ბინა.  
„არავეინ უღებს კარებს;  
არავეინ ხვდება შინა.“

კარს დაუშინა ხელი...  
კაცად რომ იქცეს მოკლავს...  
საპირფარეშოს ბაჭზე  
სტყვნა გაჰქონდა ონკანს.

მეზობლის ქალი დილით,  
როს გარეთ გაემართა,  
ასეთ სანახავს შეხედა  
საპირფარეშოს კართან:

ჩაკეცილია თედო  
საპირფარეშოს წინა  
და ტანთვაუხდელს მარტო  
ცივ იატაკზე სძინავს.



გამოაღვიძეს აედო,  
შერცხვა... წამოდგა ზანტად  
და შეიპარა სახლში,  
როგორც ნაცერი კატა...

ამ ამბის შემდეგ თედო  
საქმოსთან აღარ ჩადის  
და გამოსული გარეთ  
თავაღუნული დადის.

# პრიპუოსანი

## სცენა სცენაზე

1904 წელს ტფილისის ქართულ თეატრში  
აკაკის „პატარა კახს“ თამაშობდნენ თვით ავტო-  
რის რეჟისორობით.

მსახიობების დიდმა ნაწილმა როლები ზე-  
პირად იცოდნა, მაგრამ ერთმა დამსახურე-  
ბულმა მსახიობმა, რომელსაც უნდა ეთქვა:

თუმა უდროოდ და გვიან უფლ და  
ძველი არწივი თეიმურაზი—

ეს ადგილი თავისებური მკაფია და რიხიანი  
სმით ასე ჩაიგუფუნა:

თუმა უდროოდ და გვიან უფლ და  
ძველი არწივი თეიმურაზი.

## „დაამზვიდა“.

ერთ აზნაურს ვაკოტრებული ვაქრის ვალი  
მართებდა.

აზნაური სოფელში ცხოვრობდა და ვაქა-  
რი ქალაქიდან თითქმის ყოველდღე დადიოდა  
მასთან ფულის ამოსაგებლად. მაგრამ მცვალე  
მას მუდამ უარით ისტუმრებდა. ბოლოს მოთმი-  
ნებიდან გამოსულმა ვაქარმა უთხრა: „უკახას-  
ქნელი ვადა მითხარი, როდის გადისდი, თო-  
რემ მე აღარ შემეძლია ასე შორს შენთან

სიარულითა.“

— ნუ გეშინია, ერთ კვირაში მეც ქალა-



ქში გადმოვსახლდები და სწორედ შენ სახ-  
ლის გვერდით დავბინავდებიო.“ — დაამზვიდა  
მოვალემ.

## აბანო, ბალი და სამსახური

— რა არის, რომ სამსჯავროში საქმის გა-  
რჩევის ღროს მსაჯულებს მუნდარები აცვიათ,  
აღვოკატებს—ფრაკები და დამნაშავენი-კი  
უფრო ხშირად შიშვლებიც არიანო? ჰკითხეს  
ერთხელ აკაკის.

— ეს იმას ნიშნავს, — მიუყო პოეტმა, რომ  
საქმის გარჩევა მსაჯულებისათვის სამსახურია,  
აღვოკატებისათვის — ბალი და დამნაშავეთა-  
თვის კი აბანო.

## კაკალ გულში

ძველ დროში ერთმა ტფილისელმა მოქა-  
ლაქემ მემამულისაგან სიმინდი იყიდა, ფული  
მისცა და ტომრები გაატანა — შიშვე და გამო-  
მიგზავნეო.

კარგახანს ელოდა შეიღველი ნაკიდ სი-  
მინდს და არ მოუვიდა. ბოლოს თორი წა-  
ვიდა.

მემამულემ დონახა თუ არა, შერცხვა, რომ  
უმტყუნა და სხე: რომ ვერა მოახერხა—რა  
ჰკითხა:


— ქალაქში რა ამბავია ახალი?

— მაგდენი არაფერი. გავხეთქეში ჩაუგ-  
დიათ, რომ სიმინდი ვაძვირებულა და სინ-  
დისი გაიფებულაო, — უპასუხა ტფილისელმა.

## მალა ზამაზი მოღის




ზამაზანია: ახლა ავსტრია მინდა ვიპურჯარილო. („ნოტენკრაჰ-რი“, ამსტერდამი)



— ვერ დათვლი, იმდენი უმუშევრები მყავს.  
 — ვერ დათვლი, იმდენი ზარბაზნები მაქვს.  
 — მაშ გამოსავალიც მოჭახრაკებული ყოფილა.  
 გენერალო! („რეგორი“, პარიზი)

## ნაუთი ნაუთთა უოკრის

## უხვი მასკინძელი



თითოეული მავუხაბელი (მეზობელს) — მე გამიღიმა!  
 („აქშამი“, „სტამბოლი“)



ვენიზელოსი: — ახლა ყველაზე უფრო ერთმანეთს მე და ნან-გრევები ვეწყობით... („ტრიბ. დენასიონ“, პარიზი).



კ. ნორცელაძე 35

— ზა მოხდებოდა, რომ ვენერა პოეტი ქალი უფილიყო?  
 — ხელის მაგივრად ფეხი მოტყდებოდა სახელებში მონორარზე სიარულით.

# ფიქსირების სიზმარი

როცა სერაფიონ ყარყუმადე კაპანტრესტის დირექტორად დანიშნეს, მან თანამშრომელთა სია მოითხოვა და წითელი ფანქრით აღნიშნა პასუხსაგებმა და დიდხელფასიანი თანამდებობის მუშაკების გვარები და მათი ადგილები კი ვარაუდით თავის მახლობლებსა და ახალი ცოლის ნათესაებს გაუნწილა.

- ეს მოიხსნას.—უთხრა მან კანცარმეც.
- კი მარა ეს სპეციალისტია, სავაჭრო განყოფილების ხელმძღვანელი.
- ვიცით, ვიცით ამ სპეციალისტების საქმე, დაუმთავრებიათ შენ ხარ ჩემი ბატონი, უმაღლესი და არტესტატებით გვაკვირებენ ვაჭრობას რა ინჟინერი და ფილოსოფოსი უნაა, რომ უმავისობა არ მოხერხდეს?
- რა ვიცი, კარგი მცოდნის სახელი აქვს დაწესებულებაში მოხვეჭილი და.
- უკეთესი მცოდნე ვიცი, ვაჭრობაში გამოცდილი და მუყაითი კაცი.
- სერაფიონი თავის ქეისლს გულისხმობდა, იგი ყოფილი ვაჭარი იყო და ქვიფი და ანეკდოტები საუცხოვოდ იცოდა.
- მაშ დავწერ ბრძანებას.
- აი, ესეც მოიხსნას.
- ზოტეჩიკოსი? ეს ზომ სპეციალისტია, ახალგაზრდა კადრი. საქონლის მოცილის საქმე საუცხოვოდ იცის.
- ისეთი კაცი მყავს, რომ საქონლის მოვლა ხუთი თითივით იცის. სახლში ერთი უკრაინული ძროხა ყავდა, ახლა შვიცზე გადაცვალა, თვითონ წველის და რძესაც თვითონ ყიდის. (ამაში, ყარყუმადე ცოლის ძმას გულისხმობდა).
- მაშ ამაზედაც დავწერ ბრძანებას.
- დაწერე, მარა აი ესეც თან მიაცოლე.
- როგორ? ინჟინერიც მოვხსნათ ამხ.



მმართველო?

— ო, ინჟინერი, დიდი რამ გგონია ინჟინერი. რა გვაქვს ასაშენებელი რომ ინჟინერი გვიჯდეს აქ? აგერ მყავს კაცი, პრაქტიკული ცოდნით, ის დაწინაშით. (ამაში კი ნათლულს გულისხმობდა).

ყარყუმადე ასეთი „ფხიზელი მეთოდით“ მიუღდა კადრების საკითხს,—განსაკუთრებით უპარტიოები და ახალგაზრდები გაცხრილა, მათ ადგილზე „გამოცდილი“ ნათესაები მოიწვია, დარჩენილ სპეციალისტებს კი ისე ექცეოდა, რომ ნაწილი სხვაგან გადავიდა, ნაწილი კი ვინც საქმის სიყვარულით კაპანტრესტს ვერ შეეღია, აბუჩად აგდებულის მდგომარეობაში გრძობდა თავს.

— კადრებზე ზრუნვა საჭირო, ამხანაგო სერაფიონ,—ახსენებდნენ მას:—კადრებს მოვლა უნდა.

— მოსავლელი ჩვენ საქონელი გიჟავს, ზრუნვას რაც შეეხება, ჯამაგირს ხომ ყველას ვაძლევ და ახლა რა უნდათ მეტი?

— აი, მაგალითად, სპეციალისტებისა—

# კაკალ გულში

## რად უნდათ ფოთელეზს

საქვეპრობის ფოთის მესამე მაღაზიაში ფართო მოხმარების საგნებზე იძულებითი ასორტიმენტი იცემა.

ამისთანა კოოპ. გამგე სხვა ვინ უნდა იყოს?—ძიებს პამადას სთავაზობს ოქტომბრელებს ტრიკოს!  
**აქეთ და „ჩიით“—ღამჯკრე-ლევი**

სოფ. აჭისთავის (ქობ. რაიონი) კოლმეურნეთა ფული, რომელიც თხამურის საბჭოთა მეურნეობიდან ერგებოდათ შაბათობის მოწყობისათვის,—სადღაც გაქრა.

კოლექტივის თავმჯდომარეს აქტივობა უქვს, შაბათობით მონაგარ ფულს კვირას ყლავი უქნეს.

**ვის უპყრება?**  
 საგარეჯოს გლეხკომის მაღაზიაში თავი მოიყარეს ვაჭრებმა დაზოიკო და ილიკო ქურხულებმა, რომლებიც კომბინატორებით ჯიბებს ისქვლებენ.  
 საყლაპავი უმოგონათ ბიძაშვილებს, ქურხულებს, მაგრამ გამგე,—ვეკითხებით, ვის ბრძანებას უყურებს?!

## შეკითხვა

სოფ. ლენინგორის (სამხრეთ-ოსეთი) სამკითხველოს გამგემ შოთა ალექსიშვილმა მოაპარა 1900 მანეთად ღირებულ სამკითხველოს სხვადასხვა ნივთები. შოთა, შოთა! გზა დიდების ყვავილებით მოგიფარავს წიგნთან ერთად სამკითხველოს თაროც ხომ არ მოგიპარავს?!

## პროზნოზი

კოვკორის სატყეოს უფროსმა ჩხაიძემ ქრთამს ღებულობს სხვადასხვა პირებისაგან და იაფ-ფასებში აძლევს მათ ხე-ტყეს. ტყეში, როგორც საქათმეში შეპარულა მელა და ხის მორებს მიატოვებს მშვიდათ, ნელა-ნელა. სუქდება და სისინდება ჩუმად მელა კულა, მიწა ქალამნად არ უჩანს და ცა კიდევ ქულად. ტყეში რკინის ხაფანგია დაიჭერენ მელას კულის რიკსაც მიათლიან ნუ მოეღოს შველას.

თვის აშენებულ ბინებში რომ სხვა პირები ჩაასახოე?!

- რა გქნათ მერე?
- კურსებზე ვაგზავნილ მომუშავეებს ადგილი რომ არ შეუხახე?
- რა უყოთ მერე?\*

გაზეთებში გამოქვეყნდა სტალინის ცნობილი სიტყვა კადრების მნიშვნელობის შესახებ. დაიწყეს საერთო კრებებზე მისი დამუშავება.

— მომავალ საერთო კრებაზე ჩვენც სტალინის სიტყვა უნდა დავამუშაოთ.—განუცხადეს ყარყუმადეს უჯრედის მდივანმა და ადგილკომის თავმჯდომარემ.

ყარყუმადეს დავთარი აერია. მიღის შინ ყარყუმადე. ლოგინში წვება, მაგრამ არ ეძინება.

დიდი ხნის ბორგვის შემდეგ ყარყუმადე სიზმარს ნახულობს, ვითომ კრებაზეა.

გამოდიან ორატორები, და გამოაქვთ მისი ამბები; ამხელენ მის ნათესაებს, მის უსულგულო დამოკიდებულებას ადამიანების მიმართ. „ერიაშა“, სად იყო ამდენი მამხილებელი?“—გაიფიქრა ყარყუმადემ. ამ ფიქრის დროს კრება ბაღად გადაიქცა, იშვიათი ხეხილებითა და ნამყენებით სავსე ბაღად. თვით ყარყუმადე კი—მეზაღა, ხელში წყალსასხური და საოში უჭირავს, უვლის და ეალერსება ნამყენებს. აგერ მსხმოიარე ლიმონის ხეს მიუახლოვდა, ნაზად ხელი გადაუსვა და მიუაღიროსა!

— ოი, შენი ჭირიმე, პირდაპირ კადრი ხარ, ნამდვილი ინჟინერი ხარ, ახალი ადამიანი, თვალისჩინივით უნდა მოგიარო,—ოლონდ, შენც დამეხმარე, ჩემს წინააღმდეგ შეგროვილი მასალების გაბათილებაში.

ხელდავს ყარყუმადე—ლიმონი მართლაც ინჟინრად გადაიქცა და სარკასტიული ლიმიით უპასუხებს:


- სტყუი, თვალთმაქობ, შენ არ იყავი რომ ჩემი ბინა სხვას მიეცი და მოხსნაც დამიპირე?
- სტყუის წამოიძახა ევკალიბტმა—

მაგან ჩემი ადგილი არასპეციალისტ ცოლისძმას მისცა,—ყარყუმადემ ევკალიბტისაკენ მიიწია, მაგრამ ხელდას—ნამყენი უკვე ზოტეჩიკოსად გადაქცეულა.

— ამხანაგებო, ახლა, როცა გამომქლავნდა მაგისი ოიები იმიტომ შეუყვარდით, წამოიძახა ნარინჯის ნამყენმა.

— შენც? ჩემო ციტრუსო, შენც მე მემდღური?—მიუბრუნდა მას ყარყუმადე, მაგრამ ჰოი საკვირველებავ, ნარინჯი ინჟინერ-მგვამავად გადაიქცა და წყრომით მიუფო.

— ახლა ველარ გავაცურებ, შენი უსულგულობა საჯაროდ დამტკიცდა. დასცხეთ ბიუროკრატს,—მიამძახა თუთის ხემ.



— მარტო სიტყვებით—ზრუნავს,—გული მოიჭენელებისაკენა აქვს,—დაუმტა იაპონურმა ხურამმა.

— პანლური მაგას, პანლური—მიაცოლა ფოროთხალმა.

მიესიენ ყარყუმადეს, უცხუნეს და უპანლურეს, გაიქცა და გამოეკიდნ. სერაფიონი, კუნძვე გადახტა და წაიქცა.

უცხად საწოლიდან ზღართანა მოადინა და გამოეღვიძა. შეხედა საათს, უკვე დირექტორების ადგომის დრო იყო. ჭირის ოფლში გაწურული ძლივს ადგა და კაპანტრესტში უსაუზმოდ წავიდა.

თარხნი.



მოსე მწერლები. რომლებიც ხალხს ცრუმორწმუნეობაში აძრობდნ ტყავს, ღრღინა გაქრენ, მაგრამ ზოგჯერ შორეულ სოფლებში მიდიან ისეთი მოსევები, რომლებიც ანგარათმყოფარობაში ძველ მოსევებს არ ჩამოუფარდებიან და სპეკულიაციას ეწვევიან თავიანთი სპეკიალობით.

პირდაპირ ამბავში გადავდივარ. — დღეს კვირა დღეა. ალბათ ბევრი მომიკითხავს ავადმყოფთან წასაყვანად. — გაიფიქრა მალაროსკარის (დუშეთის რაიონის) ადექიმო პუნქტის ექიმმა და თავის კაბინეტის კარზე შემდეგი განცხადება გამოაქრა:

„მოქალაქეთა საყურადღებოთ ცხადდება, რომ ვინაც სახლში ავადმყოფი მყავს და სურს ჩემი წყევანა, მან უნდა მოიყვანოს იორლა ცხენი კონტად შეკაზმული (ჩემს გადასაყვანად) და ფეხის ქირა ერთ კილომეტრზე ოცი მანეთი. ექ. მოსა ზვინაძემ.


ცხენი დაუგრძელდათ და ყურები ძირს ჩამოყარეს, როცა სოფლებმა ეს განცხადება წაიკითხეს.

- ალბათ ვინმემ იოხუნჯა, თორემ გაგონილა ასეთი ამბავი? ჩიქოლიც კი შეიქნა ექიმის კაბინეტის კარებთან.
- გზოლო კარი და ექიმი გამოჩნდა.
- შენ რა გინდა? — შეეკითხა იგი ერთ ვლენს.
- შეილი მყავს ავად.
- რა გვარი ხარ და სადაურად?
- ღრუბელაშვილი სოფელ გამეწარიდან.
- რამდენი კილომეტრია თქვენს სოფლამდე?
- ექვსი, ბატონო.
- თორმეტი თუმანი მოამზადე.
- თუ შეიძლ... დააპირა სოფელმა თხოვნა, მაგრამ ექიმმა მაშინვე მოუჭრა:
- მე ვაჭარი არ ვარ და არც საუაჭროთ მცალია. აქ კერძო დუქანი კი არ არის, რომ დაგიკლო!

კიდევ კარგი, რომ ექიმმა „კონტად შეკაზმული იორლა“ არ დაუწუნა და გზას გაუდგა სოფ. გამეწარისაკენ ავადმყოფის სანახავად.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, გაიარეს ორი კილომეტრი და ექიმმა სოფელს უთხრა:

- ესეც შენი ოთხი კილომეტრი!
- სოფელმა დააპირა გამოდაგება, მაგრამ დაჩუმება ამჯობინა.
- როცა დანიშნულ ალავს მივიდენ, ექიმი გაბრაზდა:
- „აი შე მატყუარავ, ეს არის ექვსი კილომეტრი? ექვსი კი არა, თორმეტი კილომეტრია? ჩამოლდევი კიდევ 120 მანეთი, თორემ ავადმყოფს ხელს არ ვახლებ.“
- შეთანხმდენ.
- მოსემ გასინჯა ააოოოოოო. წამალი გამოუწერა.



ბრუნდებოდა პუნქტში ცხენზე მჯდომი მოსე და ცალ ხელში ეჭირა ბაჭარი, რომლის ბოლო რქებზე მაგრად მჭიდნდა მოჭერილი ღრუბელაშვილის ძროხას „ვარსკვლავს“.

უმანკო მსხვერპლი

დღეს ფრეკის სტუმარი ვარ. ვიკვლევ ტემბებს, ვიკვლევ საქმეს... და ამ ჩემ დეაწლს, მცირე შრომას, ვინ იცის, ვინ რას დაარქმევს?!

—

მაგრამ ვეტყვი, ვით მოყვარეს: — მოისუსტებს აღმინგანი... იფლანგება აქ თანხები არ ჩანს სიგრძე, არ ჩანს განი...

—

ანგარიშის მეთაური, თითონ ურევს ანგარიშებს... დირექტორი იმის ნაცვლად სხვებზე მართავს იერიშებს...

ბუბხალტერი ლეონიდე, ზაინცოვსკი არის გვარად... ოცი ათას მანეთამდე, გაფლანგვა აქვს ნაღდად „მარა“.

—

დირექტორი გვედაგება: — არ ედება ეგ მას ბრალად... ზოგ ანგარიშს მეც კი ვიკნობ. უნდა იყოს სუფთად, მშრალად...

—

ვერ უშველა მინც, ლეონ, ზაინცოვსკის, — ბუბხალტერისა: მას გამსახლში თავი უჭრეს, როგორც მავნეს, როგორც მტერსა. როგორც მავნეს, როგორც მტერსა. მაწადეთელი.

საქმურტრესტის ქუთაისის განყოფილების გამგე კობერიძე კაბინეტში იჯდა. რედაქციის მას დარაჯმა მოახსენა: — ჩინგის წარმოშობა გენელს სურს თქვენი ნახვაო.

— ააა! ნიანგის? დაველუპე! — წამოიძახა კობერიძემ და კარების დაკეტვა დააპირა, მაგრამ ნიანგკორმა უკვე მოასწრო შესვლა. კობერიძემ მყისვე იცვალა იერი, ნაძალადევიდ მხიარული გამომეტყველება მიიღო, ვითომც ესიაზონა ნიანგკორის სტუმრობა და მიმართა:

— როგორ გამახარეთ, რომ მინახულეთ, დაბრძანდით, მე ნიანგის უერთგულესი პატივისმცემელი ვარ, ვკითხულობ ვეცლა ნონირს. მომწონს მისი დაუნდობელი პოზიცია მანებლებისადმი. განსაკუთრებით ქუთაისის რომ ეხება. აქ აუთარებელი საკბილოები არიან.

სიტყვა „საკბილოების“ წარმოთქმის დროს გამგეს ფერმა აუარ-დაუარა, განზე გაიხედა, სახის საცოდავი გამომეტყველება მიიღო.

ნიანგკორმა გამგის სახეს თავისებური სარკასტული ცქერით გადმონედა და იგრძნო მისი გაჭირვება, თითქოს ემოთარებოდა: — შემობრალე, ნუ დამლუბავ და რასაც მთხოვ, აგისრულებო.

— მანებლები, დიხ, მანებლები, მავათ ვუჩვენებ მე სეირს.

აქ სულ მკვდრის ფერი დაედო გამგეს. — ნუ გეშინიათ, თქვენზე ხომ არ ვამბობ, თქვენთან მხოლოდ რამდენიმე ფაქტორი ცნობისათვის შემოვიარე და იმედეა დამეზმარებით. დავიწყეთ. თქვენს განკარგულებაში არსებული ფურნი № 3-4 გამგემ გურაბანიძემ მიითვისა თუ არა 1525 მარითი?

- კი მიითვისა, სწორია.
- ფურნი № 1-ის გამგეს დააქვს „დააკლდა“ თუ არა 3762 მანეთის პური?
- კი, ესეც სწორია.
- ოსიპოვს—561 მანეთს, რაზმადეს—1927 მანეთის.
- სწორია.

— კირვალიძემ დასწვა თუ არა ვაფლანგვის დაფარვის მიზნით შემოსავალ-გასავლის ორდერები?

- კი.
- საკრედიტო წესები ირღვევა, თუ არა?
- კი.
- საწყობის გამგეს 6071 მანეთის ფქვილი დააკლდაო, ესეც მართალია?
- ესეც.
- თქვენ „ჩამოაწერეთ“ მერმე ხომ?
- ჩამოვაწერე.
- წუნდებულ პურსაც ყიდით ხშირად ხომ?

— ყვიდით. კიდევ ბევრი შეკითხვის მიცემა უნდოდა ნიანგკორს, მაგრამ უკანასკნელი კითხვის დროს გამგე უკვე მკვდარს დაემსგავსა და ლულულუღბნდა: — კუბოში ჩამდევი და ბარემ შენვე დაშმარხეო.

ნიანგკორმა შეაშინა ყოველივე ეს და მიმართა:

— ნუ გეშინია, კაცო, როგორ მკვდრის ფერი დაგედო? მე ისე ვკითხე, როგორც ვამაგს. შენტორისებოდა გამაგო თუ რა ხიფბა შენდამი რწმუნებოლ დაწესებულებებში. მოხარული ვარ, რომ შენ ყოილაფირი გცოდნია, საქმე კარგად, პირდაპირ ჩინებოლად გქონია დაყინებული და ამით რაღად კმაყოფილი დაგბროუნდები. ნუ გეშინია, პირობას გაძლიე ამას ჩემსა, შენსა „ნიანგის“ მკითხველების და პროკურორის მეტი ვერაფერ გავსა. აიო.



— ვთხოვთ, ეს ღვინო უკან მიიღოთ. რატომ? — მე თქვენ 9 ნომერი ვთხოვეთ, თქვენ კი მე-9-ე ნომერი მოგიციათ. — დალოცვილო, ესეც ზომ ფუნსაცემელი არ არის—მოგიჭიროს! დაჯექი და დალიე, ჩაღა!

ლიტერატურული პაროდია

სიმ. ჩიქოვანი.

1.

უფიქრობა ხმავრებით

კულაკებს სახლი დაურჩათ ოხრად, შემომამტერდა ერთი ბობოლა. ოღეს ვწველიდი ხევსურულ ძროხას, თავზე წამადგა ხთისოს გოგონა.

2.

გვირის ქიშკა ნათაჩიოში

ხამეგრელოში, ტყეურის პირას, ერთხელ ვიდოდი ჩაფიჭრებულნი. არ მახსოვს, მგონი, დღე იყო კვირა, როს კოლმეურნის ვნახე კებური.

ვეძიე დიდხანს, იყო ონჯულა, (ამბავს ჩიყვები, მკითხველო, მართალს). შემომხვდა გვირი ძეგვე ბოჯგულა, და მან ხელიც კი ჩამომართვა.

ვილაპარაკეთ თესვაზე მკვანედ, ბოჯგულამ თესლი კბილით გასინჯა. იქ საინტერესო პორტრეტი ვნახეთ, თევზი მიჰქონდა ცხვირით წყაროსინჯას.

ქვა ვესროლე და გავაგდებინე, ძეგვემ გმირულად გადინარბარა.

გულთხარა:—მე აქ რა გამაძლენებებს, რატომ არა ვაქვთ წიგნის ჭარხანა?

გრ-ია.

უაგულოების უაპი გული

— რაო? რევოლუცია არისო? ხომ არ გაგიფიქრებთ თქვენ?!—თავზარი დაეცა ქუთაისის პოლიცემისტერის თანაშემწეს ერმალო შაიულდიძეს, როცა დაემხო ცარიზმი.

მაგრამ შიში არც ისე საფუძვლიანი გამოდგა. მენშევიკურმა მთავრობამ არც კი გაახსენა ძველი ცოდვები.

სამი წლის შემდეგ, ისევ თებერვალში საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

— ახლა კი ცუდად არის ჩემი საქმე. ესენი არ მამატიებენ შუშების აწიოკებას. სადმე თავი უნდა შევაფარო—გადაწყვიტა ერმალომ და რამდენიმე ხნის შემდეგ მესტიაში ამოყო თავი.

მ. პირველმა პირველი დახმარება ამოუჩინა—სასადილო ჩააბარა—საშენო საქმეა, ჭამა ყოველთვის გიყვარდაო.

ვაჭრობაში კარგი უნარი გამოიჩინა. 3 მანეთად ნაყიდ ღვინოს 10 მანეთად ყიდდა და მოგების დიდ ნაწილს ჯიბისკენ ავზავნიდა.

ერთხელ მსუბუქე კავალერია დაესხა თავს.

— მსუბუქე კავალერია კი არა, თუნდაც მძიმე არტილერია მომაცენონ მაინც ვერაფერს დამაკლებენ!—იმედი ჰქონდა მფარველებს.

მაგრამ მსუბუქე კავალერიამ სასადილო აიღო და ერმალო „ტყვედ ჩაიგდო“. 35.000 მანეთიდან წიგნებში მხოლოდ 20.000 მანეთის ნაკვალევი ნახეს. დანარჩენი კი მის მეტმა არაფერ იცის სად გაქრა.

მაგრამ მფარველებმა იგი გამოიხსნეს და სასადილოდან საკონდიტეროში გადაიყვანეს — ტკბილ ცხორებაზე ხარ შეჩვეული და ტკბილეული ბლომად გექნებაო.

ერმალოს არ წაუგია საკონდიტეროში გადასვლით. იქაც გახსნა რესტორანის განყოფილება და ათმანეთიან ჭათამს 30 მანეთად ჰყიდის.

მიირთმევს ერმალო ტკბილეულს, თუ პროკურორმა არ ჩაამწარა.

კინკარა.

ს უ ფ ს ა

არტელ „წინსვლაში“, რომელიც გიიკერაფს ჩეჭმა - წაღებსა, თავშესაფარი გაუჩნდათ, მეთაბნეებს და აღებსა.

იტობდეთ: გრიგოლ სარიშვილს. ჰქონდა წარსული ბნელია, ახლაც კი ვაჭრობს ბაზარზე, ამბობს: „ვარ უძლეველია“.

ნესტორ ჩხეიძემ—ვაჭარმა გააჭირაღა დარაბა, წარსულშიც იყო ეს კაცო, ერთი რამ დავიდარაბა.

მათ გვერდს უშვებებს ვიორც ჩხარტიშვილია გვარაღა, ყოველდღე სასადილოში, მღერიან: „ოსა ვარაღას“.

„შახლენისკის ბოშბი“.



ყავი ხშირად ვერ ამჩნევ—ტვინია თუ ქონია.  
აი თუნდაც მგელაძეს, აქ რომელი ჰქონია,  
რომ მას მატარებელი „ფაიტონი“ ჰგონია,  
სადაც უნდა აჩერებს, მისთვის ყველგან ფონია.

## ამხანაგო ნიანგო!

### ამხანაგო ნიანგო!

თქმულება: „ჩიტი სადაც გაიზრდება, მისი ბაღდადი იქ არისო“, დღეის შემდეგ ასე უნდა შევასწოროთ: ჩიტი სადაც „ქაფს“ იშოვის, მისი ბაღდადი იქ არის... ის „ჩიტი“ რომლის შესახებაც მე ქვემოთ ვილაპარაკებ, თუმცა ბაღდადის რაიონში ცხოვრობს, მაგრამ თვით ბაღდადში ქული რომ შეუვლოთ მაინც არ გაჩერდება, რადგან „ქაფს“ სოფელ ობჩაში შოვილობს. ეს ჩიტი გახლავთ ობჩის არასრული საშუალო სკოლის გამგე ალექსანდრე პაჭკორია. მან გაჩაფა ამავე სკოლის მოწაფეთა შორის შეგროვილი ფული წიგნების შესაძენათ. წიგნების გაჩაფვის შემდეგ პაჭკორიამ, ახალი „წყარო“ აღმოაჩინა: შეაგროვა უბნის სკოლების მოწაფეთა შორის სკოლის ფანჯრებში ჩასასმელ მინების ფული და მინების ნაცვლად იქ ფიცრების ფანჯრები ჩასამეფინა. ალბად არგუმენტად ის ქონდა რომ სინათლე მოწაფეებს თვალებს გაუფუჭებდა. ერთი სიტყვით თუ შენი ჩანგალი არ მოგვაშველე ალექსანდრე პაჭკორია ობჩიდან ფებს არ გადადგამს, რადგან „ჩიტი“ (იგივე პაჭკორია) ჩვენში ქაფს შოვილობს და ჩიტის (პაჭკორიას) ბაღდადიც აქ არის.

მ. გელაშვილი.

### ამხანაგო ნიანგო!

ეს ამბავი ბათოში მოხდა. ვლადეარ რიგში და ველოდები პასპორტის მიღებას.  
— ჩემი პასპორტი მზადაა?—ვეკითხები რეგისტრატორს, როცა მეღირსა რიგი და ჩემი სახელი და გვარი ვუთხარი.  
— როდის ჩააბარე ძველი პასპორტი?  
— ათი დღის წინაღ.  
— შემოიარეთ ოცი დღის შემდეგ!— უყო მოკლე და ცივი პასუხი.  
გულმოკლული გამოვდიოდი გარედ, რომ თავში გამიელვა:  
— მოდი კიდევ ჩავდგები რიგში და ძველი პასპორტის ჩაბარების ვადას სხვა დროს დაეუსახელებ!  
მართლაც ასე მოვიქეცი. იმედი მქონდა, ვერ მიცნობდა რეგისტრატორი, რადგან იგი ლაპარაკის დროს მოსაუბრეს არ ოყურებდა.  
— ჩემი პასპორტი მზადაა?—ვეგვეკითხე სხვა ხმაზე და სახელი და გვარი ვუთხარი.  
— როდის ჩააბარე ძველი პასპორტი?  
— ორი თვის წინაღ!  
მას არათფერი უთქვამს. იქვე გამოვლო ყუთი და, ბევრი ძებნა არ დასჭიროვებია, ნახა ჩემი ახალი პასპორტი და ჩამაბარა.  
აქედან დასკვნა შენ გამოიტანე ნიანგო! ს. ჯორბენაძე.

### ამხანაგო ნიანგო!

რა ჩემი საქმეა ლაპარაკი? ვის გაუგონია, რომ სასადილო ლაპარაკობდეს, მაგრამ გაჭირვებისაგან ქვანიც კი ალაღადდებიან ხოლმე, და მე რომ ავლაპარაკდე, რა ვასაკვირია.  
მე ვარ მალაროს-კარის (დუშეთის რ.) კოოპ. სასადილო. წინად გამგედ მყავდა ყოფილი ვაჭარი და შესიელი სომა ლაზრიევს. გამფცქენა, ტყავი გამაძრო და თითონ ზორბად გასუქდა. ვიფიქრე—რაკი გასუქდა და ვაძლა( აწი მაინც ხეირს მანახვებს-მეთქი.  
მაგრამ მოხსნეს იგი და დამინიშეს ახალი გამგე ვანო ჩამაზოვი.  
— ვაჰ! სომაზე ნაკლები ჭანა ვიცი და ნაკლები შნო მაქვს თუ?—თქვა ვანომ და...  
მაგრამ რაღა „და“... მე ჩემი მემართება. სულს ვლაფავ.  
ეგებ მიშველო, ნიანგო, თორემ მალე კანფუტეებს სულს.  
სოფ. მალარ-კარის კოოპ. სასადილო.



ნან. მ. თათროვის.

ძალიან ხშირად რკ. გზის ბიუროკრატები და ჩინოვნიკები რკინი-  
გზელ დამნაშავეს კი არ გამოკითხავენ საქმის ვითარებას, კი არ დაა-  
რკინებენ, კი არ „შეახურებენ“, როცა ეს საქმეობა,—არამედ იქცევიან „წე-  
ლის მიხედვით“: ან საყვედური, ან დაპატიმრება, ან მოხსნა და პასუ-  
ხისგებაში მიცემა. ანხ. კაბანოვიჩის სიტყვიდან.



არაფერი არ უნდა, გუბიანი აქვს ყურშია.  
ზის და იხვრის ბრძანებებს როგორც თუთიყუშია.  
კიდევ ბლომად არიან ამა მორები,  
დააყენეს ქალაქის გაუვალი შორევი.

აკაკის ნიღაბი:

აწინდელი სიყვარული  
გინდ იყოს და გინდ აღარა.  
**ხვითაქმე** (გაკვირვებული მოიხედავს):  
ვინა ხართ, რომ ხელს მიშლით?  
**აკაკი**:—ყმაწვილო, რა დავიშავეს ჩემმა  
ლოქებმა, რომ ასე ამახინჯებ?  
**მაკო**:—ბ-ნო მოსამართლენო, თქვენ  
უკვე ხედავთ, რომ ეს ვაგბატონი თურმე  
სხვის ლექსებს თავისად ასაღებდა და თავი  
კი დიდ პოეტად მოჰქონდა. მაგისი უნიკო-  
ბის დასამტკიცებლად გთხოვთ დაჰკითხოთ  
ამხ. ნიანგს.  
**ნიანგის ხმა**:—აქ ვახლავართ (შემო-  
დის, ვებერთელა გოდორი ჰკიდია).  
**ხმები**:—რა იცით კოზმა ხვითაქმის პოე-  
ტობის შესახებ?  
**ნიანგის**:—ლექსებს აუარებელს გვიგზა-  
ვნიდა. სანიმუშოდ შეგვიძლია წაეკითხოთ  
შემდეგი მისი ლექსი (იღებს გოდორიდან):  
„პარმენს გადაცდა ხახაში ლომი,  
საწყალი ლომი ჩაეფლო კუჭში.  
ის ლომი იყო ისეთი ცხელი,  
ვერ დაიჭერდი იმ ცხელ ლომს მუჭში“.  
და ლექსის ბოლოში გვწერს, რომ ეს ლექსი

სახლში წაეკითხე ცოლსა და ამხანაგებს,  
რომლებიც სიცილით კინაღამ დაიხოცნო.  
**მაკო**:—ტყუილია, არ მახსოვს, რომ  
წაეკითხოს ეს ლექსი.  
**ხმები**:—თქვენ რა უპასუხებთ?  
**ნიანგის**:—ცხელი ლომი თავში გქონია-  
თქო. (კითხულობს მეორე ლექსს):  
მტრებს ყველას დედას ვუტირებ,  
სულ ბღღვირს გავადენ ყველასო.  
ყლაპს ვუზამ როგორც ქაქიას,  
არც კი დავიწყებ ხველასო...  
ამაზე ასე ვუპასუხებთ: ჩვენმა გოდორმაც  
ყლაპი უყო ლექსითქო. (იღებს გოდორიდან  
და კითხულობს მესამე ლექსს):  
ზღვის ტალღა არხევს მწყემსების კარებს:  
ცეცხლი უნთიით მწყემსებს შუა ზღვაში.  
აქაც დარდს ვერვინ ვერ გამიქარებს...  
ონერი თავი დავმალო რაში.  
მომგვარეთ რაში... მითხარით „აში“.  
დაჰკარით ტაში... გამიშვიტ ცაში...  
ამგვარად როგორც ხედავთ, ამხანაგებო,  
თქვენს წინაშე ბრალდებულ კოზმა ხვითაქმის  
სახით დგას ჩვენი ხალხის ერთი ხენი, ებიდე-  
მიური ავადმყოფობაა, რომელსაც ეწოდება

„მელექსეობა“. ჩვენში იშვიათად ნახავთ  
კაცს, რომელიც ლექსს არ წერდეს. მე რო-  
გორც საზოგადო ბრალდებელი მოვითხოვდი  
—წინადადება მიეცეს კოზმა ხვითაქმეს და  
სხვა კოზმა ხვითაქმეს ხელი მიჰყონ მათ-  
თვის შესაფერ საქმეს. (გაღის).  
**ხვითაქმე** (დაღონებული უცქერის მა-  
კოს):—ასე მგონია, თითქოს თვალებს რამ-  
დენიმე ფეწა ფარდა აეხადა. თითქოს გამო-  
ვიცვალე...  
**მაკო** (გაკვირვებული):—ჰკუიდან ხომ  
არ იშლება! (უახლოვდება).  
**ხვითაქმე**:—პირიქით, ჩემო მაკო. ჰკუ-  
ზე მოვდივარ (დაიჩოქებს მაკოს წინაშე)  
მაკო მაბატიე, მე შენს წინაშე დამნაშავე  
ვარ (აცრემლდება).  
**მაკო** (თინაგრძნობით):—კარგი კოზმა...  
დამშვიდდი... დამშვიდდი თუ გიყვარდე...  
**ხვითაქმე**:—მაკო, რაც იყო, იყო... ამი-  
რიდან მე სხვა კოზმა ვარ. ხვალთანვე სხვა  
საქმეს ვკიდებ ხელს.  
**მაკო**:—მოიტა ხელი ხელახლა წავი-  
დეთ „მაჩში“ და ვავტარდეთ. (ერთმანეთს  
ხელს არამევენ და მიდიან).



22

გ'გუუ ნუუ

დღისი... ღირის ჭირი გაჩნდა ვიღუბი... დღეა...  
ბი... არავითარი ჭირი არ გაჩნდა... საუც... ვერძობ თაგ



— სად მივაქვს ამხანაგო ეგ ზარბაზანი? — ჩვენს დაზურულ სასაღალოშია. იქნება ახლა მაინც მომაქციონ ყურადღება და კერძი დროზე მომიტანონ.

განთხი. დასრულდა საშენობის სამუშაოების კონტრეტის დამამზადებელ კონტრეტებს... სარევიზიო კომისიამ ჯილდოზე წარსადგენად გამოპყო დამამზადებელთა კონტორის ბუჰალტერი მიქელაიშვილი, რომელმაც ვაფლანგვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ნაცვლად ვაფლანგის წინებულ 9000 მანეთისა ვაფლანგა 9099 მანეთი.

გ. კე.

დომნა ხურდაქაფიშვილი

სად. აბაზა, რკ. გზის მოლორემ-დომნა კუჭუხიძემ იშვიათი ნიჭი და ენერჯია გამოიჩინა მგზავრებისათვის ხურდის წართმევაში: — გადაწყვეტილია აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოს წინაშე, რათა დ. კუჭუხიძეს გამოცვალოს ნამდვილ გვარი და დაერქვას უფრო შესაფერი — ხურდაქაფიშვილი.

აბაშვილი.

„ხელის უმეფულობა.“

სოფ. აძვი. (გორის რაიონი) სასოფლო საბჭოს და სახელმწიფო სესხების ხელისუფლებას კომისის წევრმა ვ. თომაშვილმა გადაჭარბებით ჩაატარა სოფლად ობლიგაციების გავრცელების და აღებული თანხის მითვისების კამპანია.

ნ-რი.

ბამარჯვებული

კულაში, (სამტრედიის რაიონი) დამთავრდა კულაშის კოლმეურნეობაში მოკალათებულ სპეკულიანტ-კომბინატორთა შეჯიბრის შედეგების შეჯამება. პირველი ადგილი დაიკავეს აბრამ და ხაიმ ბათაშვილებმა, მეორე ილ. ბოთერაშვილმა.

—ლი.

გოღორი

ტარიელს. უგვარო (ამ სიტყვის ორნაირი მნიშვნელობით) წერილებსა და ავტორებს არ ვბეჭდავთ. მართალია, ტარიელი ცნობილი სახელია, მაგრამ თქვენ ჯერჯერობით არა გაქვთ მოპოებული არც ერთი მათგანის სახელი, და ვერც მოიპოვებთ ასეთი ლექსით:

ჩიჩუა კი გაიძახის: „ფული ჯერ არ ამიღია“. მეგობრებთან სულ ქეიფობს მხიარული და ვულგარული-ჩვენ კი ვდგავართ, ველოდებით, ყველას ხახა დაგვიღია.

გეყოფათ ლოდინი, ზაფხულია. უფროსილ დით ბუზებს!

„წითელ ვარსკვლავს“ (ხაშური). მართალია თქვენს ფსევდონიმის სახელობის კოლმეურნეობა ჩვენში ბევრია, მაგრამ ეს მაინც ვერ გამოასწორებს თქვენი წერილის ნაკლს:

მეექვსე უბანა განაგებს გიორგი რევიზორია. თავხედობა და ქეიფში მას არავინ შეკავს სწორია.

თავხედობა დასაგმობია, გასაკიცხი, დასასჯელი. მაგრამ კონკრეტულ ფაქტს ვერ ასახელებთ. ქეიფი არ არის დასაძრახი თუ იგი წესიერია, დროული და ზომიერი.

ხევისურს (ბარისახო, დუშ. რ.) გვწერთ რომ კოლმეურნეობის გამგეველი ოზოგმა სიმთვრალის დროს დაკარგა 600 მანეთი კოლმეურნეობის ფულით და

ვეძებთ და ვერსად ვნახულვობთ, არა ჩანს ფულის კვალია. გვაცნობეთ, ეგებ თუ სადმე მოშკანით ვინმემ თვალია.

კარგათ გაუშინჯეთ გამგეს კუჭი, ეგებ შიგ გადაცდა. ბოთლებშიაც კარგათ მონახეთ, მოსალოდნელია, რომ შიგ „შეინახა“.

ლ. კელასურელს (ვაგერი). ფოსტა: ტელეგრაფის ცუდი მუშაობის შესახებ გვწერთ, რომ:

მუდამ იხმის ორი სიტყვა: „არ სცალია წამხდარია“ „ამას ამბობს დაწინაწი ანდა ლიდა მანდარია. კაჭკაჭიშვილს ღვინო უყვარს ძველია თუ მაჭარია. მუშაობას გულს ვერ უღებს, კაცი ძველი ვაჭარია.

შე კაი კაცო, ახლა რა დროს მაჭარია? ალბათ რითმისთვის დააყენეთ ასე ნაადრევად? ასეთი ზომები ვერ გამოასწორებს მას. აი ნახეთ, თუ იგი ცხელ გულზე, რომ იგი „ნიანგ-ში“ გაწერეთ, არ წავა და არ გადაკრავს თავისებურად.

პ/მგებელი რედაქტორი—ს. მუღი.

რედაქციის მისამართი: ტფილისი ჯორჯიაშვილის ქ. № 5. ტელ. 8-58-21.

ქორნალი დაბეჭდილია სახელგამის ლიტოგრაფიასა და „ტექნიკა და შრომა“-ს სტამბაში. კლიშეები დამზადებულია „კომუნისტი“-ს ცინკოგრაფიაში. შუკვ. № 792. მთაველ. რწმ. № 7285. ტირაჟი 20000

# ბაგარტლაგული რეალი



თავა თარღი, ნახე, მზა რეალი.

სასოფლო სამუშაო კარბადის სანიმუშო წყარება ბაგარტლაგული რეალი  
პრეპარატთა შიდაგებულ სტრუქტურის ბეკაბეა

სოცალიზმი



— შინ ამ კორეპარატული ერთი მთავრება. ბაგარტლაგული რეალი წყარება მზა რეალი, ამ კვდავ  
აქედან დავახარები შიდაგებულ სტრუქტურის აშენებაში.